

პიონერები



მარიამი

გაუმარჯოს პიონერების საკავშირო შეკრებას!



პიონერების მიღწევათა ჩვენება.

4 აგვისტოს ტფილისში იხსნება ამიერკავკასიის პიონერთა პირველი შეკრება.

ამიერკავკასიის პიონერთა შეკრების ჩატარების პროგრამა სამ ნაწილად იყოფა: მასიური, სასპორტო და შრომის პროცესების.

5 აგვისტოს ლენინის სახელობის სტადიონზე შესდგება მასიური აღლუმი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 2500 ბავში. ზეიმი იქნება მასიური, თავისუფალი მოძრაობით, პირამიდებით და სხვა.

შეკრების დროს გამართულ საღამოებზე ნაჩვენები იქნება სხვადასხვა ეროვნული ცეკვა, მიღწევათა გამოფენაზე ნაჩვენები იქნება პიონერკოლექტივების ზრდა. შეკრების სასპორტო ნაწილი წარმოდგენილი იქნება კალათბურთით, ფრენბურთით, სირბილით, ხტომით, ნიშანში სროლით და სხვ.

შრომის პროცესების და გართობის პროგრამაში შედის: ფიცრების ხერხვა, აგურების დაწყობა, ლურსმნის ხმარება, ტვირთის ზიდვა, სირბილი ხტუნვით, თავზე ტომარაგადმოცმული სირბილი, სირბილი დაბრკოლებებით, მიზანში ბურთის სროლა, ასკინკილა, ისრის სროლა და სხ.

შეჯიბრის სწორედ ჩატარებისათვის გამოიყოფა მოსამართლეთა კოლეგია; მთელი ხელმძღვანელობა შეკრების ჩატარების საქმეში მთავარ მოსამართლეს ევალება.

როგორ ჩატარდება შეკრება.

პიონერული შეკრების შტაბმა დაამუშავა სპეციალური გეგმა.

3 აგვისტოს სადგურზე ეწყობა საზეიმო შეხვედრა ჩამოსული დელეგატების პატივსაცემად. სადგურიდან დელეგატები წავლენ საერთო საცხოვრებელში, ექიმა შეავაჭმებს მათ ჯანმრთელობას; საღამოს მონაწილეობას მიიღებენ ტფილისის პიონერორგანიზაციის აქტივთან თათბირში.

4 აგვისტოს 9 საათიდან ჩატარდება მასიური ესტაფეტი ქალაქში. თავისუფლების მოედანზე ეწყობა ტრიბუნა სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის. ესტაფეტის შემდეგ — პიონერების სვლა ქალაქში.

5 აგვისტოს — ფიზკულტურის დღესასწაული, მასიური თავისუფალი ვარჯიში, მძლეონური შეჯიბრები, პირამიდები, სასპორტო თამაშობანი, შრომის პროცესები, კოცონი.

6 აგვისტოს — მასიური სამხედრო თამაში, ზაჰესში გამგზავრება, სროლაში შეჯიბრი, საპლანერო ცდები; საღამოს — ეროვნებათა კავშირი.

7 აგვისტოს — ამიერკავკასიის პიონერულ-ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სადგურის გახსნა, რომლის დანიშნულებაა პრაქტიკულად დაეხმაროს ნორჩ ტექნიკოსებს და გამომგონებელთ, და გამოფენის დათვალიერება. საღამოს გაიხსნება ბავშვების კონფერენცია.

8 აგვისტოს — ბავშვების კონფერენციის დახურვა, შეჯიბრის შედეგების გამოცხადება, დელეგატების არჩევა პიონერების საკავშირო შეკრებაზე.

საღამოს — პიონერების კარნავალი ქალაქში ჩორალდნებით, მაშხალებით და სხ.

9 აგვისტოს — დელეგატების გაცილება პიონერების საკავშირო შეკრებაზე.

პიონერთა შუკრებები

უკვე ჩატარდა შეკრებები მთელ საქართველოში. საქ. ბ.კ.ო. ცენტრალურმა ბიურომ თითქმის ყველა შეკრებისაგან მიიღო მისალოცი დეპეშები. ვათავსებთ ერთ-ერთ დეპეშას:

„სამხრეთ ოსეთის პიონერების პირველი შეკრება

მხურვალე საღამოს უძღვნის თავის გენერალურ შტაბს, ცენტრალურ ბიუროს, ჩვენი რიგების შემოაწმების უდიდეს დღეს“.

შეკრების პრეზიდენტის დავალებით

გაბაგვი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. მოგონება — მოთხრობა — ვ. გ — სი.	1.	9. ამიერკავკასიის საბავშვო ტექნიკური სადგური.	10.
2. ბანაკად — ლექსი — ა. აღმათისი	2.	10. შეჯიბრი — ლექსი — ი. აბაშიძის	10.
3. ანტიიმპერიალისტური წითელი დღე — კ. დ — ის.	3.	11. № 13. — ს. ერთაწმინდელის	11.
4. პიონერთა სრულიად საკავშირო შეკრების პროგრამა.	5.	12. მეცნიერება და ტექნიკა	15.
5. შეკრება მთელი ქვეყნიერების ბავშვთა კომპლექსების ძმური სოლიდარობის დემონსტრაცია.	6.	13. ქიარიმ — გ. შალვაშვილის.	17.
6. საკავშირო შეკრებაზე — ლექსი — გ. ქუჩიშვილის.	7.	14. პიონერები სუფთა ჰაერზე, წყლებსა და მზეზე.	19.
7. ჩუ-პინჯ — ლექსი — მარიკა მიქელაძის.	8.	15. ამიერკავკასიის პიონერების შეკრება — გარეკანის მეორე გვერდზე.	
8. ჩვენი უფლებების შელახვას არავის შევარჩენთ.	9.	16. ფუქსავატის საქმიანობა — ი. ოთიაშვილის — გარეკანის მეოთხე გვერდზე.	

პ ი ო ნ ე რ ი

1929

30 ივლისი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურდე-
გების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური
აღზრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშვებისათვის.

წელიწადი IV
№ 14

მობონება



ამბების მოყოლის დროს სმენად ქცევა და განაბვა
ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა.

უმეტესად ეს ახალგაზრდებს სჩვევიათ.

ეს მათი გულუბრყვილობის და სისპეტაკის ნაყოფია.
ამბების მოყოლა ახლაც იტაცებს ახალგაზრდობას, მაგ-
რამ ერთის განსხვავებით: მათ ზღაპრები უკვე გავიწყე-
ბიათ, არც ლეგენდებსა და საარაკო ამბებს იგონებენ.

„მეცხრე მთა“, „ზურმუხტოვანი ველი“ და „მიწის-
ქვეშა სახელმწიფო“ კი ჩვენმა ნათლად ხილულმა სამყა-
რომ შესცვალა.

მათ უკვე სხვა ამბები აინტერესებსთ, სხვაგვარად
შეთხზული, რომელიც დაკავშირებულია კაცობრიობის
ბრძოლით საცხე ისტორიასთან.

ამ საღამოსაც პიონერების საკრებულოს ეზოში გან-
საკუთრებული სიციხოველეა, ზოგი კედლის გაზეთის მა-
სალებს ათვალთვლებს, ზოგი წითლად დაწერილი ლო-
ზუნგების მისაკრავი დაფის დანზადებას შესდგომია და
ზოგი კიდევ რას.

არც არავის ეუცხოება მათი ასეთი ყრიაშული.

ხვალ ხომ პირველი აგვისტოა, მსოფლიო ომის გა-
მოცხადების დღე.

ამ დღეს აღიმართა პირველი მახვილი, რომელიც
ოთხი წლის განმავლობაში შეუწყვეტლად ელავდა ბრძო-
ლის ველზე.

ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რამდენის კარებს
მიადგა სიკვდილი, ვინ მოსთელის, რამდენი უდანაშაულო
ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ორი თუ სამიოდე მუჭა
ადამიანების ბოროტმა ზრახვებმა!

მთელი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობა ემზადება
ამ დღისათვის, რომ საჯაროდ და საქვეყნოდ გამოსთქვას
თავისი აღშფოთება იმ უბედურების წინააღმდეგ, რო-
მელმაც მათი მამები, ძმები თუ შვილები ჩააწვინა სა-
ფლავში.

ჩვენი კუთხის ახალგაზრდობაც ემზადება ამ დღი-
სათვის.

მთელი კვირაა საშხადისში არიან.

მთელი უბანი შესძრეს.

აი ამ საღამოსაც შეკრიბიან. წინასწარ ჩატარებუ-
ლი მუშაობის შემოწმება იწყეს; როცა ყველაფერი თავის
რიგზე აღმოჩნდა, კრება დაშლილად გამოაცხადეს.

ისევ ხმაური, ყრიაშული, სიმღერები.

მათი ხელმძღვანელი მიტო კი იქვე მახლობლად
მდებარე ლოდზე ჩამოჯდა.

— აბა, მიტო, მოგვიყვირამეს შენებურად.

— შენგან ბევრი რამ გვსმენია.

— არ გვინდა წაკითხულის მოყოლა, იქნებ საკუთარი
რამ გვიამბო შენივე ცხოვრებიდან, — ეუბნებიან. გარს
მტრედებივით შემომსხდარი პიონერები.

— რომელი მებრძოლი და პოლიტიკური მოღვაწე მე მნახეთ, რომ საკუთარ თავგადასავალს მოგიყვებოდა, — მიუგო მიტომ, — თუმცა არა ერთი და ორი მწარე ამბავი შემთხვევითა ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში.

ყველანი სმენად იქცენ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

სიჩუმე ჩახველებამ შეარხია, შემდეგ კი ამ ამბავმა:

„პატარა ვიყავი, ძლიერ პატარა, — დაიწყო მიტომ, — და-ძმაც პატარები მყავდა; ჩვენი ქოხი გზის პირად იდგა, წინ ფართო გზა იშლებოდა. ქოხის უკან კი ტყე იდგა; ტყე შრიალებდა, და ტოტმაგარი მუხები გაცვითლებულ ფოთლებს აყრიდა ქოხს.“

ქოხში მუდამ ცისფერი

ბოლი იდგა, ბოლში კი დედის ფერმკრთალი სახე ირხეოდა. ვცხოვრობდით სოფლის განაპირად. ჩვენს მეზობლად თითქმის არავინ იდგა და იქნებ ეს იყო მიზეზი, რომ მამა თავდავიწყებამდე გვიყვარდა. მისი სამუშაოდ წასვლა გვალბობდა ყველას, ხოლო მის შინ დაბრუნებას მოუთმენლად ველოდით.

მე ახლაც მახსოვს სალამო სოფლის განაპირად; როცა მზე იწყებდა დახრას, მე და ჩემი პატარა და-ძმა თხმელის წინელის ლობეზე ავცოცდებოდით, სწორედ იმ ადგილას, სადაც ცხენის თავის ქალა ეკიდა. გავცქეროდით ყველანი ფართო გზას და ცქერით მოქანცულნი დაღლილი ფრინველივით ვთვლდით.

პირველად ჩვენი რკათეთრა გამოჩნდებოდა, მას უკან ჩალითა და სამუშაო იარაღით დატვირთული მამა მოყვებოდა.

შემოვესევოდით მამას, რომელსაც ჩვენთვის ტყეში დაკრეფილი გარეული ვაშლი ან მსხალი უნდა მოეტანა. ქოხში ცეცხლი ჩაღებოდა, ცეცხლზე რძით საგსე ქვაბი ჩუხჩუხებდა, ხოლო მთვარის ამოსვლისას მოქანცულ მამას რკათეთრას ცურებით განოყიერებული ვახშით ვუმასპინძლებოდით. ის შეექცეოდა ვახშამს და გვართობდა საუბრით.

მამის მიერ მოყოლილი ამბები ახლაც გუშინდელ დღესავით მახსოვს, ბევრი რამ საოცარი და დამაღონებელი უთქვამს ჩემთვის, მაგრამ ყველაზე შემადრწუნებელი ის იყო, როდესაც ეზოს ორი უცნაურად მორთული მგზავრი მოადგა.

მიიხმეს მამა, ესაუბრენ და წასვლისას წითელი ქალღის ნაფლეთი გადასცეს.

მამის მღელვარების მე მაშინ არაფერი მესმოდა.

გავიგე, რომ სადღაც უნდა წასულიყო — შორს, საომრად.

რა იყო ამაში სამწუხარო და სავალალო, — მე, ბაბლი, ვერ მივხვდარიყავი. მოდოდენ შორი მეზობლები და მოჭქონდათ ახალი ამბები:

„სოფელი გაანახევრეს, ყველა საომრად გაჰყავთ, ქვეყანას ეშმაკი დაპატრონებია“ და სხვა.

ვისმენდი ამ ამბებს და ვფიქრობდი: ომი ხომ საგმირო საქმეებია, ან რა უნდა იყოს საძრახისი, რომ მა-

მამ თოხის ნაცვლ ღ თოფი აილოს ხელში და მტერს მამაცად დახედესტქო. — მტერი ხომ მე სულ სხვაგვარ აღამიანად მყავდა წარმოდგენილი: გულქვა, შეუბრალებელი და მზეცების მოდგმის თურმე. პარიქით, ისიც ისეთსავე ბედში ყოფილა, როგორშიც მამაჩემი: შრომისაგან წელმოწყვეტილი, უფლებაყრით და დაბეჩავებული ეს ორი აღამიანი უნდა შეხვედროდა ერთმანეთს თოფით ხელში, ემუსრათ ერთმანეთი და განემტკიცებიათ იმათი საქმე, რომლებმაც ომი, ცარცვა და ჩავგრა მოიგონეს.

მამა სხვებთან ერთად გამგზავრა სამაზრო ქალაქში, სამაზრო ქალაქიდან კი შორს, სხვა მხარეს, რომელიც მე მაშინ ცხრა მთას იქით მეგონა. ქოხში სევდა დასადგურდა, შიმშილმაც შემოდგა ფეხი, და როდესაც დედამ მქალღის ცხოხასაც უკლო, მივხვდი, თუ რას ნიშნავდა ომი.

მიდიოდა დღეები, ვიზრდებოდი და იზრდებოდა სევდა, მამა კი არსაიდან ჩანდა.

„შამშილმა გაფანტა ბავშური უღარდლობა, შეგვიპყრო შიმში და უსიტყვოდ მივჩერებოდით დედის მწუხარებით საგსე თვალებს.“

რაღა ბევრი გავაგრძელო, ძმებო, ერთ წვიმიან დღეს იკივლა დედამ, კიოდა ისე გულშემზარავად, რომ შემკრთალი და-ძმა ვეკროდით ერთმანეთს. ეზოში თავ-

საფრიანი დედაკაცები გროვდებოდენ; როგორც ბევრი სხვა, მოეკლათ მამაც.

დედა კვლავ გაჰკიოდა და თმაგაშლილ თავს ახლიდა კედელს, მე კი გავცქეროდი წვიმის წვეთებს და ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ ასველებდა ის მამაჩემის გაცივებულ გვამს.

მწუხარებამ დაანალგლიანა ბავშვების ცქრიალა თვალები, მაგრამ უფრო მედგრად სცემდა მათი პატარა გულები, მთელი ქვეყნის მტაცებელთა და სისხლისმსმელთა წინააღმდეგ ზიხლითა და შურისძიების გრძნობებით საგსე.

განაკად

დილით მზე თუ ვერ ამოვა და ეფარება ბილიკებს, კვლავ ხარობს ეგ მიდამო და გუვიც ხომ გაიჯირითებს. ამხანაგები მოყვება, სიმღერა ველსაც აყრუებს!.. „რა ჰქნა პატარა მორევმა, გუშინ ქვემოთ რომ გაგუბეს?“ ეს სიტყვა გივიმ და გაიქცენ მდინარის სანაპიროსკენ, როს დარღვეული იხილეს გუბე მათ, კვლავ იცინოდენ; ლამით რომ წვიმა მოვიდა, ჰაერშიც იყო ხმაური, ჩანჩქერს, მოვარდნილს ლოდინან, წაელო მათი ნაგუბი... არ შეუშინდენ ახას და სურთ კვლავ გაგუბონ მორევი! ასე გგონია, შრომობენ ნაცადი კალატოზები. მზე რომ დადგება შუადღის, ველზე აღიან „მუშები“, გულმკერდი რომ გაიშავონ, რომ გაიშავონ მუხლებიც, შემდეგ ხტომით და სიმღერით მორბიან კარავის ჩრდილში. აბა, ვინ მოვა პირველი. ვინ ვის აჯობებს სირბილში! ზოგი სიმაღლით მიჭქრის და ზოგი დაეცა შვა გზაზე! ჰა, შეამჩნიეს ტოლებმა და ტკბილად გადინახარეს! მარტო ხომ აღარ ცელქობენ ცოდნა ველურს არ უგავდეთ! იწყებენ კითხვას ბეჯითად წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს... ასე, მზე თუ ვერ ამოვა, ვერ მოაშუქა სხივები, მიდამო ისევ ხარობს და მოდიან მათი რიგები!..

ა. აღამია

საფრიანი დედაკაცები გროვდებოდენ; როგორც ბევრი სხვა, მოეკლათ მამაც.

დედა კვლავ გაჰკიოდა და თმაგაშლილ თავს ახლიდა კედელს, მე კი გავცქეროდი წვიმის წვეთებს და ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ ასველებდა ის მამაჩემის გაცივებულ გვამს.

მწუხარებამ დაანალგლიანა ბავშვების ცქრიალა თვალები, მაგრამ უფრო მედგრად სცემდა მათი პატარა გულები, მთელი ქვეყნის მტაცებელთა და სისხლისმსმელთა წინააღმდეგ ზიხლითა და შურისძიების გრძნობებით საგსე.


ანტიიმპერიალისტური წითელი დღე.



15 წელიწადი სრულდება მის შემდეგ, რაც დაიწყო დიდი იმპერიალისტური ომი, რომელმაც გამოიწვია მშრომელი მასების ფიზიკური განადგურება. მსოფლიო ომი (1914 წ.) 4 წელიწადს, 3 თვესა და 26 დღეს გაგრძელდა. საშინელია ამ ომის შედეგები: 10 მილიონი კაცი მოკლული, 3,5 მილიონი მძიმედ დაჭრილი—სრული ინვალიდები, 20 მილიონი დაჭრილი; ომმა შთანთქა 590 მილიარდი მანეთი, რაც შეადგენს 11 მსხვილი სახელმწიფოს შემოსავალს.

ხიზტს“, კომუნისტური ინტერნაციონალის მე-5 კონგრესმა დაადგინა ანტიიმპერიალისტური წითელი დღის შემოღება 1 აგვისტოს; ამ დღეს მსოფლიო პროლეტარიატი მოახდენს თავისი ძალების მობილიზაციას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

მეშათა მოძრაობის დღევანდელი მდგომარეობის დამახას ათებელია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებში და, მეორეს მხრივ, ეროვნულ—განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოება კოლონიალურ ქვეყნებში.



1914 წლის იმპერიალისტური ომის დროს ინგლისსა და გერმანიას შორის 15-დღიანი ხარბახნები; თითო მათგანი 115 ტონას (7000 ფუთზემეტს) იწონდა და ისროდა 2400 კილოგრამიან ყუმბარებს. ამ სურათზე ნაჩვენებ იმპერიალისტების ხარბახანი კიდევ უფრო მძიმე და მძლავრია.

მსოფლიო ომის 15 წლის თავს კაცობრიობა მეტის-მეტად გართულებულ მდგომარეობაში ხვდება. სიტყვა ომი ძალიან ხშირად გაისმის, კაპიტალისტური ქვეყნები დღით-დღე აძლიერებენ თავის საშხედრო სიძლიერეს, რითაც დიდი საფრთხე მოელის მშრომელი მასების მშვიდობიან ცხოვრებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომავალი ომი გაცილებით უფრო გამანადგურებელი იქნება, ვიდრე პირველი იმპერიალისტური ომი იყო. ამიტომ მსოფლიო ომის 15 წლის თავზე განსაკუთრებით ხაზი უნდა გავსვას მომავალ ომის საშიშროებას. უკანასკნელი ამბები—ჩინეთ-ადმოსავლეთის რკინის გზაზე თავდასხმა—კიდევ უფრო ცხადყოფს მომავალი ომის საფრთხეს.

გამოდიოდა რა იმ დებულებიდან, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი „დღის წესრიგში აყენებს

ამისათვის 1 აგვისტო უნდა გადაიქცეს კომინტერნის ლოზუნგების გარშემო მილიონიანი მასების მობილიზაციის დღედ.

რა არის მომავალი ომის უმთავრესი მიზეზი? იმპერიალისტურ ქვეყნებში საწარმოო ძალების განვითარება ბაზრების უღრდეს საჭიროებას იწვევს, უბაზროდ არსებობა კაპიტალისტურ ქვეყნებს არ შეუძლიათ.

ამჟამად კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის ყველაზე უფრო მწვავეა ბაზრების საკითხი. კაპიტალისტური სამყარო ბაზრების დიდ უქონლობას განიცდის, ვინაიდან მშრომელი მასების უკიდურესმა გაღარიბებამ, სამუშაო ხელფასის შემცირებამ დასცა მასების მყიდველობითი უნარიანობა. გარდა ამისა, კოლონიალურ ქვეყნებში ეროვნული მრეწველობა ვითარდება და ეს უკანასკნელი კი ამცირებს იქ სა-

მრეწველო პროდუქტების გატანის შესაძლებლობას.

გერმანიამ, რომელიც ყველაზე უფრო განადგურებული გამოვიდა იმპერიალისტური ომიდან, ამჟამად თითქმის თავი დააღწია ამ მდგომარეობას, დღეს ის უკვე იმპერიალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც თავის ადგილსა და წილს თხოულობს მსოფლიო ბაზარზე (1918 წ. ვერსალის ხელშეკრულების ძალით მას ჩამოართვეს ყველა კოლონია).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა კავშირი (დედამიწის ერთი მეექვსედი) ჩამოცილებულია კაპიტალისტურ სამყაროს (ძველად მეფის რუსეთი კაპიტალისტური ქვეყნების ბაზარს წარმოადგენდა).

აი ამიტომ იქმნება იმპერიალისტური ომის აუცილებლობა, იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის ბაზრების ხელახალი გადაწილების მიზნით.

1 აგვისტოს მომავალი ომის აუცილებლობა მთელი სიცხადით უნდა იქნას გარკვეული მშრომელი მასების წინაშე. ამასთანავე ერთად გამოძევენებული უნდა იქნას იმპერიალიზმის შინაარსი, რომელიც იწვევს ომს, და უნდა გამოაშკარავდეს, რომ ომის მოსპობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც დაემზობა კაპიტალისტური სისტემა და მის ადგილს დაიჭერს სოციალისტური წესწყობილება.

ბურჟუაზია კარგად გრძნობს თავისი აღსასრულის მოახლოვებას. ამისათვის ის ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რომ როგორმე გაახანგრძლივოს თავისი არსებობა. უპირველეს ყოვლისა, მუშათა კლასის წინააღმდეგ ის იყენებს თავის უმთავრეს დამხმარეებს—მენშევიკებს. დღეს მუშათა კლასის ყველაზე უსაშინელესი მტრები არიან სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ზურგს უმაგრებენ ბურჟუაზიას მუშათა კლასის განადგურების საქმეში. მაგ. საფრანგეთის „სოციალისტების“ ბელადი პოლ ბონკური არის ინციტორი მილიტარიზაციის კანონის შემოღებისა საფრანგეთში, გერმანიის სოციალ-დემოკრატების ბელადმა გელსმა ყრილობაზე შემდეგი განაცხადა: „თუ საჭირო იქნება, ჩვენ (ე. ი. მენშევიკები) ბურჟუაზიის დიქტატურას გამოვაცხადებთ“. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია მუშათა კლასის მრისხლე მტერია.

1 აგვისტოს გამოძევენებულ უნდა იქნას მთელი სიცხადით საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის გამყიდველობა. ამ დღეს ჩვენ უნდა მოვავალოთ მასებს ის, რაც ჩაიდინა სოციალ-დემოკრატებმა პირველი იმპერიალისტური ომის დროს (ლიუქსემბურგის და ლიბკნეხტის მოკვლა და სხვა) და რა საფრთხეს უმზადებს ის მუშათა მოძრაობას კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ მომავალ კლასიურ ბრძოლებში.

ერთ-ერთი ძირითადი ლოზუნგი საერთაშორისო პროლეტარიატის გამოსვლის I აგვისტოს იქნება „**საბჭოთა კავშირის დაცვა**“. ეს ლოზუნგი გასაგები და ნათელი იქნება მასებისათვის, ვინაიდან საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხე მეტის-მეტად შესაძლებელია.

1919 წელს რ.კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობაზე მომავალი ომების შესაძლებლობის შესახებ **ლენინმა** სთქვა: „**ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო სახელმწიფოში, არამედ სახელმწიფოთა რკალში, და საბჭოთა რესპუბლიკას იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გვერდით ხანგრძლივად არსებობა არ შეუძლია. ბოლოს და ბოლოს ან ერთნი ან მეორენი გაიმარჯვებენ,—სანამ ეს იქნებოდეს, მანამ კი სამკედრო-სასიცოცხლო შეტაკება საბჭოთა რესპუბლიკებსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის აუცილებელია**“. საბჭოთა ხელისუფლებამ და ჩვენმა გმირულმა პარტიამ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, რაც შეიძლება გავახანგრძლივოთ **შესვენების პერიოდი**, რომ უფრო წინ წაწვიოთ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა.


რა არის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის შესაძლებლობის უმთავრესი მიზეზები? პირველი — საბჭოთა კავშირის მდგომარეობის განმტკიცება და ძლევამოსილი სვლა სოციალიზმისაკენ; დღეს ყველასათვის აშკარა და ნათელია ის უდიდესი მიღწევები, რომელთაც ჩვენ გვაქვს სოციალისტური მშენებლობის სფეროში—ჩვენი სახალხო მეურნეობის გარდაქმნა ახალ ტექნიკურ საფუძვლებზე და სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი განვითარების გეგმა*). რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ძირს უთხრის კაპიტალისტურ სისტემას და, მეორეს მხრივ, იწვევს კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობის გაძლიერებას. მეორე—კოლონიალურ ქვეყნებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა (მაგ. ინდოეთში, აჯანყება მაროკოში, სირიაში, ინდონეზიაში და სხვაგან), ეს უკანასკნელი კი ძირს უთხრის იმპერიალიზმ-ს არსებობას. **საბჭოთა კავშირის არსებობა თავისთავად აღვივებს საერთაშორისო რევოლუციონურ მოძრაობას.**

1 აგვისტოს საერთაშორისო პროლეტარიატი გამოამყვანებს თავის ურყევ ნებ-სყოფას საბჭოთა კავშირის დასაცავად და გამოამყვანებს თავის სურვილს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გარდაქცივის შესახებ.

გაუმარჯოს მსოფლიოს მუშათა კლასს, ღარიბ გლეხობას და მათ ბელადს—კომინტერნს!

გაუმარჯოს წითელ დღეს!
*) ჟურნალის მორიგ ნომრებში მოვათავსებთ წერილებს ხუთწლიანი გეგმის შესახებ. რედკოლეგია.

პიონერთა სრულიად საკავშირო შუკრების პროგრამა.



პიონერთა სრულიად საკავშირო შეკრების ცენტრალურმა შტაბმა განიხილა პიონერთა სრულიად საკავშირო კონფერენციის და ბავშთა სრულიად საკავშირო მიტინგის მუშაობის წესი.

18 აგვისტოს „დინამო“-ს სტადიონზე (მოსკოვში) მოეწყო ბავშთა სრულიად საკავშირო მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ შეკრების დელეგაციები, მოსკოვის პიონერები და ბავშვები და მუშებისა და წითელარმიელთა წარმომადგენელი.

რები, დასასრულ მიტინგს მიესალმება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. წარმომადგენელი.

20 აგვისტოს (მოსკოვში) დაიწყო პიონერთა საკავშირო კონფერენცია,

კონფერენციის სხდომებს შორის მოეწოდა სხვადასხვა გასართობი: სიმღერები, თამაში, ცეკვა და სხვ.

სრულიად საკავშირო კონფერენციასთან ერთად მოხდება ჯგუფური კონფერენცია-თათბირები ისეთი



პიონერთა შეკრება

საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგურმა სამსახური უნდა გაუწიოს მიტინგს. ბავშებისათვის მოწყობილი იქნება რადიოგადამცემის მოსმენა ჯგუფობით.

შესავალ სიტყვას მიტინგზე წარმოსთქვამს ახალგაზრდა პიონერთა ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარე აშხ. ხევერიანოვა. შემდეგ მთავრობის მოხსენებით (ბავშთა მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში) გამოვა აშხ. რეკოვი.

რუსეთისა და უკრაინის პიონერთა პატაკის შემდეგ, საბჭოთა კავშირის თავდაცვის და მასში ბავშების მონაწილეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს აშხ. ვოროშილოვი. შემდეგ გამოვლენ უცხოელი პიონერები. პატაკით წარსდგებიან ბელორუსიის, ამიერკავკასიის, შუა აზიის და უზბეკისტანის პიონე-

საკითხების შესახებ, როგორც არის: კულტურული ხუთწლიანი გეგმა (აშხ. ლუნაჩარსკის მოხსენება), სკოლისგარეშე მუშაობა და პიონერების ამოცანები (აშხ. მლინიკის მოხსენება), სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, (აშხ. კრუჟანოვსკის მოხსენება), მთავრობის მუშაობა ბავშვები ა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში (აშხ. სემაშკოვს მოხსენება), ბავშთა ეკონომიურ-უფლებრივი მდგომარეობის დაცვა (აშხ. უგლანოვის მოხსენება), საბავშვო პრესის ამოცანები (აშხ. ხალატოვის მოხსენება), როგორ უნდა იმუშაოს პიონერ-რაზმა (აშხ. სოკოლოვის მოხსენება).

შეკრების ცენტრალურმა შტაბმა გადასწყვიტა დააჯილდოს პიონერთა სპარტაკიადის მონაწილენი.

შეკრება — მთელი ქვეყნიერების ეკლესიის ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების ქმედით სოლიდარობის დემონსტრაცია, ✓

ჩვენ ვწერდით გასულ ნომერებში პიონერების საკავშირო შეკრებისა და მისი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ.

ჩვენ ვწერდით, რომ შეკრება — მთელი ქვეყნიერების ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების ძმური სოლიდარობის დემონსტრაციაა.

ეს რომ მართლაც ასეა, ამას შემდეგი გვიმტკიცებს: საკავშირო შეკრებაზე მოვლენ მთელი რიგი ბურჟუაზიული ქვეყნების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების დელეგატები.

ყოველდღე მოგვდის სულ ახალ-ახალი ცნობები საზღვარგარეო სტუმრების გამოგზავრების შესახებ.

დელეგაცია მოვა ინგლისამდე, სადაც გადაჯდება საბჭოთა საეკლესიო ფლოტის გემში და გამოსწევს ლენინგრადში.

ინგლისში ამერიკის დელეგატები სკაუტების შეკრების („ჯამბორი“) საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მიიღებენ მონაწილეობას.

ლენინგრადიდან დელეგაცია გაემგზავრება მოსკოვში, მოსკოვიდან კი უკრაინაში.

გზაზე დელეგაციას შეუერთდება ერთი დელეგატი კანადიდან.

დელეგაციის საბჭოთა კავშირში მოპყვება ჩრ. ამერ. შეერთებული შტატების ბავშვთა კომუნისტური მოძრა-



სხვადასხვა ქვეყნის პიონერები

გერმანიიდან მოემგზავრება საკავშირო შეკრებაზე 15 დელეგატი (გათვალისწინებული 10 დელეგატის მაგივრად); დელეგაციაში შედის რამდენიმე შეუკავშირებელი ბავში, გერმანიის მუშების შვილები.

1 აგვისტომდე დელეგაცია მოსკოვის (და შეიძლება ლენინგრადისაც) ბანაკებში იქნება, ხოლო 1 აგვისტოს, ორ ჯგუფად გაყოფილი, გამოემგზავრება ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩრდილოეთის მხარეს. ნ. პ. მოსკოვის ბიურო ფიქრობს გაგზავნოს პიონერების ერთი ჯგუფი პოლონეთის საზღვარზე გერმანელი სტუმრების შესახვედრად.

ინგლისიდან წამოსასვლელად ემზადება 10 კაცი. დელეგატების გამოგზავნა და საერთაშორისო წითელი დღის მზადება ერთსადაიმევე დროს ხდება. ბავშვთა კომუნისტური ჯგუფები სადგურებზე (საიდანაც ერთსადაიმევე დროს მიემგზავრებიან დელეგატები საკავშირო შეკრებაზე და დელეგატები სკაუტურ „ჯამბორი“-ზე) აწყობენ კონტრ-დემონსტრაციებს სკაუტური შეკრებების საწინააღმდეგოდ და საპროტესტო დემონსტრაციებს საბჭოთა კავშირზე სამხედრო თავდასხმის შესაძლებლობის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ.

ამერიკიდან 16 ივლისს გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში 6 დელეგატი, მათ შორის 1 ზანგი. ესენი სამთაშანო, საფეიქრო და საავტომობილო მრეწველობის მუშების შვილები არიან.

ობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების მუშაკთა IV ინტერნაციონალური კონფერენციის დელეგატია. კონფერენცია შესდგება მოსკოვში.

ჩეხეთ-სლოვაკეთი. მიუხედავად ჩეხეთ-სლოვაკეთის პოლიციის საშინელი დევნისა, ბავშვთა კომუნისტური ჯგუფები 6 დელეგატს აგზავნიან, ფულს აგროვებენ გამგზავრებისათვის.

დელეგაცია ინახულებს დასავლეთ მხარეს.

საფრანგეთი. მიღებულია დეპეშა, რომ გამოსამგზავრებლად ემზადება 4 დელეგატი. დელეგაცია ინახულებს ურალს.

შვეიცია. მოემგზავრება 5 დელეგატი. დელეგაცია ინახულებს ჩრდილოეთის მხარეს.

ნორვეგია. მოდის 5 დელეგატი, რომელნიც ამოირჩაეს პიონერულ ბანაკებში.

დელეგაცია ინახულებს ამიერკავკასიას.

შვეიცარია. მიღებულია ცნობა, რომ შეკრებაზე გამოსამგზავრებლად ემზადება 3 დელეგატი. მშობლებსა და მუშებს შორის შეგროვილია ფული, რომ საბჭოთა საზღვრამდე მოვიდეს დელეგაცია.

დელეგაცია ინახულებს ღონბასს და ქვედა ვოლგის მხარეს.

მონღოლეთი: 10 დელეგატი მონაწილეობას მიიღებს ციმბირის მხარის შეკრებაში, შემდეგ კი გაემგზავრება მოსკოვში.



საპაუზირო შაპკაზა

გული, გუგულად გადაქცეული,
გამომწყვდეული ერთ-ერთ კუბეში,
ფართხალებს, შვებით ფრთაშერხეული,
ველარ ეტევა თავის უბეში.

ორთქლმავალი კი მიქრის ქარივით
და ისარივით მისერავს სერებს,
რონოდის თვლები ჟღერენ ქნარივით,
და ჩვენც ზარივით ვრეკავთ სიმღერებს.

მოსკოვისაკენ მივქრითვართ ყველა,
სად პიონერთა არის შეკრება,
სადაც მილიონ ციციანათელად
მათი თვალები შემოგვეყრება.

ყოველი ქვეყნის და ყოველ ხალხის
მოხდება ბავშთა დაძმობილება;
ურთერთს გადავცემთ, რაც თავს გადავგვდა,
რაც ნაკლი გვაქვს და გამოცდილება.

დიდი ილიჩის საფლავსაც ვნახავთ
და ფიცსაც დავდებთ ყველა ერთხმად,
რომ ყოველ საფრთხეს ძხნედ გადავლახავთ
და საბრძოლველად ვიქნებით მზადა.

ძია სტალინსაც შევხვდებით, ვიცი,
სიტყვასაც მივცემთ მასავით ურყევს,
რომ პიონერთა ლაშქარი მტეიციე
კომპარტიის გზას არ გადაუხვევს.

ო, რა დიდია ეს წინათგრძნობა,
რა უსაზღვროა ეს ნეტაობა:
სუყველა ტომის ბავშთა გაცნობა,
მათთან ძმობა და დროშის ტარება.

გული, გუგულად გადაქცეული,
ფრთაშერხეული საწოლ კუბეში,
ფართხალებს, განცლით გამოწვეული,
ველარ ეტევა თავის უბეში.

ორთქლმავალი კი მიქრის ქნარივით
და ისარივით მისერავს სერებს,
რონოდის თვლები ჟღერენ ქარივით,
და ჩვენც ზარივით ვრეკავთ სიმღერებს.

მოსკოვისაკენ მივქრითვართ ყველა,
სად პიონერთა არის შეკრება,
სადაც მილიონ ციციანათელად
მათი თვალები შემოგვეყრება.

გ. ქუჩიშვილი.

ქუთაისის პიონერთა შაპკაზა

ქუთაისის ბ. კ. ო. ბიურო ქუთ. ა. ლ. კ. კ. კომიტეტის ხელმძღვანელობით თავის დროზე შეუდგა სათემო, სარაიონო და სამაზრო პიონერთა შეკრებების ჩატარებას. შეკრებას რომ ხელი არ შეეშალა საბანაკო კამ-


პრობითი პროცესები). მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის 28 კოლექტივი და კოლექტივები 3 მაზრიდან. ქალაქბურთაის შეჯიბრში მონაწილეობდა 18 ბიჭის და 12 გოგონას გუნდი და ამდენივე (30) ფრენბურთში. შეკრების ფიზკულტურულმა ნაწილმა დიდი ხალხის და გამოცოცხლება გამოიწვია პიონერთა შასაში.

27-დან 30-მდე შტაბმა ჩატარა შეკრების დანარჩენი ნაწილი, მოწყობილი იყო გამოფენა მუშაობის სხვადასხვა დარგში (ხელგარჯილობა, ოადიო, ჭრა-კერვა და სხ.). გამოფენამ ნათელყო პიონერთა მიღწევები მუშაობის სხვადასხვა დარგში.

დასასრულ ქუთაისში მოეწყო პიონერთა საერთო დემონსტრაცია და კონფერენცია მიღწევათა გამოცხადების, ხელმძღვანელ ორგანოებისადმი ერთგვარ მითხოვნათა დამუშავების და მიღწევათა გამოოკვევის მიზნით.

კონფერენციამ გამოაქყო დელეგატები ა/კავკასიის შეკრებაზე გასამგზავრებლად.


წინამძღოლი



ქუთაისის პიონერთა შეკრება. მასიური თავისუფალი ვარჯიში.

პანიისათვის, მზადება დაიწყო მაისში, ცენტრიდან დირექტივების მიღებისთანავე. გამოიყო შტაბი შეკრების ჩასატარებლად, ერთდროულად ბიურომ, ადგილობრივი ფიზკულტურის საბჭოსთან ერთად, დააარსა 10-დღიანი სემინარიები წინამძღოლთა მოსამზადებლად.

შეკრება ჩატარდა ქუთაისის მაზრის ყველა თემში და სამ შთავარ რაიონში (ხონი, ტყიბული, სამტრედია). სამაზრო შეკრება ჩატარდა ქუთაისში ხსენებულ რაიონთა დელეგატების მონაწილეობით. შეკრება დაიწყო 23 ივნისს საერთო მსვლელობით, რომელშიაც მონაწილეობდა 2.500 პიონერი. ამავე დღეს გაიმართა ფიზკულტურის მოედანზე მასიური თავისუფალი ვარჯიში 950 პიონერის მონაწილეობით. 24-27-მდე ჩატარდა შეკრების ფიზკულტურული ნაწილი ა/კავ. ბ. კ. ორგ. ბიუროს ვრცელი პროგრამით (ამნათობენი, სამქოდი, სახტუნელებით რბენა, ტომრებით რბენა, დაბრკოლებებით რბენა,



ქუთაისის პიონერთა შეკრება საერთო, მსვლელობა ქუჩაში.



პატარა ჩინელი
ჩუ-პინჯი
სულ არჩევს, სულ არჩევს
ბრინჯს.
მიწის იატაკზე
ზის,
არ ხვდება სხივები
მზის.
უფროსს კი
ქილოფი უგია —
აბა,
ვის გაუგია
უფროსი უქეჩოდ
ძირს?
ჩუ-პინჯიც
დაკუმავს პირს.
დუბანის*) ძვირფასი
ქეჩები
არ მოგავს
უფროსის ლებს**):
აბრეშუმს ატარებს
ბეჭვებით,
თითებით—
მარგალიტ-თვლებს.
მისთვისაც
პატარა ჩუ-პინჯი
მიწის იატაკზე
ზის,
ხელებში—სულ ბრინჯი,
სულ ბრინჯი,
არ ხვდება
სხივები მზის!
მაგრამ ერთ—
არ ვიცი, დარინს
თუ ძლიერ უდარო

ჩუ-პინჯი

დღეს,—
ხმაურმა
ხელები დარია
ათასი ჩუ-პინჯის
ტყეს.
უნდოდათ
ქეჩა და ხალათი,
უნდოდათ
სხივები მზის,
ვინ იცის,
თუ მოდის ლალატი
მალლიდან,
სად „ჩანი“ ზის!
და
ქუჩას მოედო
ზღვაური
ერთ ძლიერ
უდარო დღეს,
ათასი ჩუ-პინჯის
ხმაური
გავდა გრიგლიან
ტყეს.
ჩამარხეს დუბანი,
მაგრამ სხვა
ესტუმრა დუბანის
სახლს.
--- გინდა, ძმავ,
მგელს შეუჭამიხარ
და გინდა
მგლის ფერსა ძაღლს!
მოვიდა
მევობრად ცნობილი
და წინ მოუძლოდა
ტყვია,
თუ მისთვის

ასეთი ყოფილა,
მზეს არც კი
შეუტყვია.
და აი, დამპალი
სად ბრინჯი
გატენილ ტომრებით
ძევს,
პატარა ჩინელი
ჩუ-პინჯი
უსიტყვოდ, მორჩილად
წევს.
შერჩათ კვლავ დუბანებს
ფარჩები,


მზის სხივიც
დაურჩათ მათ,
დუბანი დუბანად
დარჩება
და ლოცავს ღმერთების
მადლს.
მაგრამ იქ
ყრუდ ამბობს,
რომ დარჩა
ათასი ჩუ-პინჯი
სხვა:
„ჩვენ მოვალთ,
გავაძრობთ
მაგ ფარჩას,
ჩვენ მოვალთ,

დღეს არა,—
ხვალ!
ჩვენ მოვალთ—
დავიხშობთ
გზას ადვილს,
ჩვენ მოვალთ,
ავიგვებთ წევს,
გავგზავნით
წართმეულ
მზისათვის
იქ, სადაც
ჩუ-პინჯი წევს!“

მარიკა ნიქელაძე

*) დიდი უფლებებით აღჭურვილი სა-
მხედრო პირი,
**) ლეიბს,


ჩინეთის უფლაგავის უფლაგავს არავის უავარჩინო.



(ჩინეთის მორიგი ანტისაბჭოთა გამოსვლები).

ამ უკანასკნელ დღეებში მთელი საბჭოთა კავშირის მართლმართლთა გულსისუფრე იმ ამბებთანადაა მიპყრობილი, რომელიც გამოიწვია ჩინეთის კონტრრევოლუციონური გენერლების თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე.

საქმე შეეხება იმას, რომ ჩინეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ ძალმომრეობით ჩაიდო ხელში **ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზა**, გამორეკა იქიდან გზის მმართველი საბჭოთა მოსამსახურენი, დააპატიმრა საბჭოთა მოქალაქენი, დაარბია და დახურა ჩვენნი დაწესებულებანი და სხვა ორგანიზაციები. ზოგიერთ საბჭოთა თანამშრომლებს ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენს.



ასეთი ვერაგული ძალადობა ჩაიდინა ჩინეთის ხელისუფლებამ საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომლები უდიდესი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ჩინეთის ხალხის ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ჩინეთის მემამულეებმა და ბურჟუებმა ჩინეთის რევოლუციის მოღალატე გენერალი ჩან-კაი-შის ხელმძღვანელობით საკუთარი ქვეყნის მუშებისა და გლეხების სურვილისა და ინტერესების წინააღმდეგ მოიწადინეს საბჭოთა კავშირის ხალხების და მშრომელი მასების აბუჩად აგდება და მათი ინტერესების უსიკრებლოდ შელაგება.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მომხდარი ამბების მნიშვნელობა, მოკლედ მაინც უნდა გავცნოთ ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის საკითხს.

ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზა არაჩვეულებრივი ტიპის წამოწყებას წარმოადგენს. ეს გზა იწყება ჩინეთის მიწაწყალზე, მაგრამ ის ორივე ქვეყნის—ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის—საერთო საზიარო კუთვნილებაა.

ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზა გაყვანილია ძველი რუსეთის მეფის მთავრობის მიერ მე-19 საუკუნის დამლევის მთლიანად მუშებისა და გლეხების ხარჯზე. ამ გზის ღირებულება პირველად შეფასებული იყო №62980457 ოქროს მანეთად. თუ ამ თანხას მივიღებთ გზის მიერ გაწეულ ზარალს, რო-

მელიც აგრეთვე რუსეთის მუშებისა და გლეხების ხარჯზე იქნა დაუარული, მაშინ მისი ღირებულება 461980457 ოქროს მანეთამდე მიაღწევს.

ამ გზის საერთო სიგრძე 1612 კილომეტრს უდრის. ამ გზის კუთვნილებას შეადგენს 491 ორთქლმავალი და 11578 როზოდა, აქვს აგრეთვე საზღვაო ფლოტი, რომელშიც შედის 11 გემი, მრავალი ნავი და სხვა. ამასთანავე გზას ეკუთვნის პლატფორმების, საქონლას საწყობების, სპეციალური შენობების და სახელოსნოების დიდი რიცხვი.

ოდნავად რომ დააკვირდეთ რუკაზე, მაშინვე შეამჩნევთ, რომ ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი აერთებს მოკლე გზით შორეული აღმოსავლეთის მიწაწყალს ციმბირთან და ურალთან, რითაც ამოკლებს გზას 514 კილომეტრით.

1917 წელს იპვერიალისტების ინტრიგების წყალობით ეს გზა ხელში ჩაიგდნ თეთრკარდიელებმა, რომლებმაც თავისი ბატონობის დროს სრულიად გაანადგურეს გზის ეკონომიური საქმიანობა.

შემდეგ სამოქალაქო ომის დროს იპვერიალისტური სახელმწიფოები ცდილობდნენ, განსაკუთრებით საფრანგეთი და ამერიკა, ხელში ჩაეგდოთ ეს გზა.

როცა სამოქალაქო ომი მშრომელთა გამარჯვებით დამთავრდა, საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა უფლების აღდგენა თავის ქონებაზე. ამ ნიადაგზე 1924 წელს მოხდა შეთანხმება ჩინეთის მთავრობასა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს შორის, და ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის მართვა-გამგეობა ორივე მხარის ხელში გადავიდა. ეს მორიგება განმეორებით იქნა დამტკიცებული ჩინეთის ნანკინის მთავრობის მიერ 1925 წელს.

აღნიშნული შეთანხმებით დაწესებულ იქნა შემდეგი მუხლები:

1. ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზა მიჩნეულ იქნა ეკონომიური ხასიათის წამოწყებად. ყველა საკითხი, რომელიც შეეხებოდა ჩინეთის ინტერესებს ამ გზის გარშემო, მაგ: სასამართლო, სამოქალაქო და სამხედრო, ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმართველობის და სხვა—ჩინეთის მთავრობას უნდა გადაეწყვიტა.
2. ხელშეკრულების დადებიდან 60 წლის გასვლის შემდეგ გზა უნდა გადასულიყო ჩინეთის მთავრობის კუთვნილებაში უსასყიდლოდ.
3. თუ ჩინეთის მთავრობა მოისურვებდა გზის გამოყიდვას, საბჭოთა მთავრობა ამაზე თანახმა იყო, ხოლო გამოყიდვა უნდა მომხდარიყო ჩინეთის კაპიტალით.
4. ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მიერ, მესამე მხარის ჩაურევლად.
5. გზის მართვა-გამგეობის საქმეში ჩინეთსა და საბ. კავშირს თანაბარი უფლებები მიეცა.



შეჯიბრი.

ჩვენს ამქარში კარლოს აღრეცა აკვირებდა მუშა დათა, ვინც შრომაში მხნე და მარდი ასრულებდა ვალს პირნათლად.

შრომა იყო დათას ხვედრი და უხარის ეხლაც მეტად, რომ ამქარში მეგობრები ეძახიან მხნეს და მედგარს.

კარლოს მამა? კარლოს მამას მასთან რა აქვს საქებარი? ღვინოს სვამს და დღეებს აცდენს იძინებს და . . . სულ ეგ არი.

არ დაგიდევთ შრომის მიზანს, რომ იპოვოს თვით სიამე, სასეირნოდ გაივლის და სამუშაო იგვიანებს.

ამქარშიაც სხვათა შორის, უგულთა შრომა მისი, აკეთებს და მის ნაშრომში ბევრი არის უფარვისი.

და ვერ დგება კარლო მშვიდად მამისა და შრომის ფიქრში; რომ დღეს მტკიცე შრომა გვინდა,— უსწავლია კოლექტივში.

კარლოს რჩევა უქმად გაქრა, რა ეცადა, რა იღონა, განუმარტა ასჯერ, მაგრამ ვერაფერი ჩააგონა.

და ანგვარი ხერხი ნახა, რაც ჯერ კიდევ იფარება: გამონახა ჩუმად დათა და აუხსნა ვითარება.

ჰო და, დათას უთხრა ასე, მამის ჩევეა რომ დაძლიოს, გადასწყვიტა იმუშაოს და შეჯიბრში გაიწვიოს.

უხარია ძლიერ დათას, და კარლოსაც მოსწონს თვითონ, რომ შეჯიბრში მამამისთან არ წაახდენს ხეს და ლითონს.

გუშინ დათას გაჰყვა მამაც და პირობა დასდეს ასე: თუ ვინ გაზრდის შრომის ნაყოფს, ან საათებს არ გააცდენს.

დახეთ, დახეთ, მამას თურმე შეძლებია როგორ შრომა! სცემს და ძახილს ისე ურევს, თითქოს ბრძოლის სალაშქროა.

დღეს კარლოსთან მღერის მამაც და შრომაში ისე მედგრობს, რომ ოფლი და ყველა წამი საბჭოების მხარეს ერგოს.

6. გზათა მმართველად ინიშნებოდა საბჭოთა კავშირის მოქალაქე.

7. გზაზე მოსამსახურედ ყოფნა შეეძლოთ ორივე ქვეყნის — ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის - მოქალაქეებს.

სწორედ ეს ზემოხსენებული პირობები დაარღვია უხეშად ჩინეთის მთავრობამ, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე თვით ჩინეთის მშრომელი მოსახლეობის საზარალოდ.

ამის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის მთავრობამ წაუყენა ჩინეთის მთავრობას მეტად ლმობიერი მოთხოვნა: დაშვებული ძალადობის გამოსწორება და კონფერენციის მოწვევა საკითხების მეგობრულად გადასაჭრელად. მაგრამ ჩინეთის იმპერიალისტებმა არ მოისურვეს ჩვენი კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება და, პირიქით, ბრალდებაც კი წამოგვიყენეს, თითქოს საბჭოთა მთავრობა აგიტაციას ეწეოდეს ჩინეთის ტერიტორიაზე, რომ ჩინეთის ხალხი და მთავრობა ერთმანეთს გადაჰკიდოს და თითქოს საბჭოთა მთავრობას უკანონოდ დაეტუსაღებინოს ჩინელი მოქალაქენი.

ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის მთავრობა იძულებული შეიქნა გაეწყვიტა დიპლომატიური და სხვაგვარი კავშირი ჩინეთის მთავრობასთან.

ამ საქმეში ჩვენი მთავრობის მხარეზე არის მთელი მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების თანაგრძნობა. ამიტომაცაა, რომ ჩინეთის ხელისუფლების მოქმედებამ უდიდესი აღშფოთება და საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია მთელ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც. საბჭოთა კავშირის ხალხები და მშრომელები, — ქალი, კაცი, დიდი და პატარა, — გვერდში ამოუდგებიან ჩვენს მთავრობას ყველა იმათ წინააღმდეგ სამოქმედოდ, ვინც შეეცდება საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების ინტერესების აბუჩად აგდებას.

ამ საქმეში ჩვენს მხარეზე იქნება აგრეთვე ყველა ქვეყნის მშრომელთა თანაგრძნობა და დახმარება.

ამიერკავკასიის საბავშვო ტექნიკური სადგური

შეკრების დღეებში ტფილისში გაიხსნება ამიერკავკასიის ტექნიკური საბავშვო სადგური. მისი მიზანია — კონსულტაცია და პრაქტიკული დახმარება პიონერ ტექნიკოსებსა და გამოგონებელთ მათს მუშაობაში.

მთელს საბჭოთა კავშირში ასეთი ხასიათის სადგური სულ ოცია, ყველა ესენი დიდ დახმარებას უწევინებენ ბავშვებს.

კონსულტაცია ამიერკავკასიის სადგურზე მიეცემათ პრაქტიკულად — სახელოსნოებსა და სპეციალურ ბიულეტენებში, რომელნიც ამიერკავკასიის ყველა ენაზე გამოვა.

სადგურის წინაშე იმდენად დიდი ამოცანები დგას, რომ მათი შესრულება შეიძლება მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეალური დახმარებით.


ტექნიკური სადგურის მნიშვნელობა ბავშვების შრომით აღზრდაში უდიდესია.

უნდა დაგვეხმარონ ინჟინერები, ტექნიკოსები და პედაგოგები.

პიონერი მიშა.

ირაკლი აბაშიძე.

№ 13


 ეროვნული
ბიბლიოთეკა

— № 13 სადაა? — იკითხა ზედამხედველმა ღიმილით საღამოს ამოკითხვის დროს და გვარი დაასახელა.

— არა ჩანს... ალბათ ისევ გაიქცა, — მიუგო დარაჯმა, რა საწოლები დაათვალიერა და ვერსად ნახა მიტო, რომელიც აქ მცირეწლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ შრომის სკოლაში მესამედ იყო გამოგზავნილი.

ასე ეძახდნენ მას ხუმრობით ამხანაგები და სახელს იშვიათად თუ-ღა გაიგონებდით, რასაც მიტოც შეეჩვია ისე, სახელი რომ დაეძახნათ, არც კი მოიხედავდა ხოლმე. ასე დაარქვეს მას იმიტომ, რომ აქ მოყვანილთა შორის მეცამეტე იყო რიცხვით და ბოლოს მოყვანილი, თუმცა იმასაც კი ამბობდნენ, ცამეტჯერაა აღრიცხული დანაშაულში.

ის რამდენჯერაც დაიჭირეს ქალაქში, აქ გამოგზავნეს, მაგრამ რა დროს იხელთებდა, არა ღებობდა, გაიპარებოდა ხოლმე ისევ ქვეითად ან ნავთის ცისტერნებზე.

— ჰმ!.. ისეა გარყვნილი ქუჩებში ყოფილი, რომ ვერაფერი გამოასწორებს... აი ეს უკვე მესამედ გაიქცა... — ჩაილაპარაკა ღურგალმა სიკომ, რომელიც ხელობას ასწავლიდა ბავშვებს აქ, მათ შორის მიტოსაც, და ახლა უკმაყოფილო იყო მისი გაქცევით.

— მაშ რა იქნება ქურდებში და ჯიბგირებში ნახეტილი?! — ჩაუთო დარაჯმა.

— არავინ იცის სადაა? — შეეკითხა ზედამხედველი ბავშვებს.

— არა.

— მე რე და უკანასკნელი გაფრთხილება ჰქონდა; პატიოსანი სიტყვა ჩამოვართვი. — ჩაილაპარაკა ზედამხედველმა და ჩაფიქრდა.

— ჯიბგირი და პატიოსნება?! — ჩაიციხა დარაჯმა, — ის თავისუფლად არ უნდა გაუშვით, დაამწყვდიოთ, დასაჯოთ, და ქუჩაზე მოვა.

— ო, არა, სიმონ, ეგ ძველად იცოდნენ ხოლმე აქ, და აკი გამოსწორების ნაცვლად ისეთივენი რჩებოდნენ; ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, კი არ ვსჯით, არამედ მათ გამოსწორებას ვფიქრობთ... ის დამნაშავედ კი არ დაბადებულა, არამედ შემდეგ აუტანელმა ცხოვრებამ, ობლობამ და უპატრონობამ მიიყვანა აქამდე; მაშინ ხომ ასე არ ეპყრობოდნენ ბავშვებს, როგორც ახლა. აი, ხომ ხედავ იმ ბავშვებს, ისინი მიტოზე ნაკლები კი არ იყვნენ, მაგრამ უხეხე, უკვე პატიოსან მოქალაქეებად იზრდებიან, ყოველმხრივ კარგად დაყენებული სწავლით მომავალ

მუშაკებად ემზადებიან, ვითარებიან კულტურულად, პოლიტიკურად, სწავლობენ სამხედრო საქმეს, ფიზკულტურას, ხელობებს. მიტო ხომ სასულე ორკესტრშიცაა, კლარნეტზე უკრავს, სახელოსნოში ღურგლობას სწავლობს, და ეს ყველაფერი გამოადგება მას ცხოვრებაში, როცა გაიზრდება... — განაგრძობდა ზედამხედველი, რა ბავშვების საერთო ბინა დასტოვეს და დერეფანში გადიოდნენ.

ბ

— იმ დღეს შალაშინი და ხელეჩო დამიმტვრია... ცელქია... მაგისი გამოსწორების იმედი არა მაქვს... — ბუზღუნებდა ღურგალი.

— არა უშავს რა, შეილივით უნდა გიყვარდეს.

— ჰმ... შეილივით... ჯიბგირი და...

— ო, არა, სიკო, როგორც მე ვარ მასწავლებელი, ისე შენ უნდა იყო... ჯიბგირი აღარ დაუძახო, ეგ ცუდად იმოქმედებს ბავშვზე, ეგრე არ უნდა მოექცე... აი ემაგ სიტყვებს რომ ისმენს, ალბათ იმიტომ გარბის. მე ვატყობ, რომ ის პატიოსანი ადამიანი გამოვა, ნიჭიერი ბავშია. პირველად, მართალია, გარბოდა, შეუჩვეველს აქ გული არ უდგებოდა, მაგრამ მე იმის ბავშურ პატიოსან სიტყვას ვენდე, დავუჯერე; მან მითხრა, რომ არსად წავიდოდა უნებართვოდ; იმის თავს ალბათ რაღაცაა, თორემ მე რაღაცა არ მჯერა იმისი გაქცევა; პირიქით, იმ კვირია ის მოუსვენარი ტიტყოა რომ გაიპარა და ჯერაც არსად ჩანს, მიტო შემეხვეწა გამეშვა, მე ვიპოვი და მოვიყვანო, მაგრამ ნება არ დავრთე... ვნახოთ, იქნება გამოჩნდეს.

— არ ვიცი, მე კი აღარა მაქვს იმედი იმისი გამოსწორებისა და... დედა ნახე, მამა ნახე, შეილი ისე გამოჩნახე, — ნათქვამია და, მე მგონია, მართალიცაა, მაგისი მამაც ხომ კაცის მკვლეელი იყო, ამბობდნენ, — არ იშლიდა ღურგალი.

— არა, შენ სცდები... არც ანდაზაა მართალი ამ შემთხვევაში... გამოსწორება ყველასი შეიძლება, მხოლოდ შესაფერი მიდგომაა საჭირო... რაც შეეხება მამას, ამასწინად მელაპარაკა ჩემი ნაცნობი, უბნის უფროსი, მიტოს მამის ნაამხანაგარი... მიტოს მამა რკინის გზის მუშა ყოფილა, რევოლუციონერი, ციმბირში გადასახლებული, და რა იქიდან გამოპარულა, მსოფლიო ომის დროს, შეურთავს ცოლი და ჩუმი მად ცხოვრობდა; ერთ ჯაშუსს გაეცა და პოლიციას ალყა შემოერტყა, მაშინ შემოკვდომოდა ის ჯაშუსში და პოლიციას ისიც ეხოშვიე მოეკლა გაქცევის დროს, მაშინ მიტო ძუძუმწოვარა ყოფილიყო

და რა დედაც ვაციებულოცო სარეცხის დროს, გარდაცვლილიყო, ორი წლის მიტო ერთ მათხოვარ და საექვო ყოფაქცევის დედაკაცს აყვანა...

— ვაიმე, შვილო, ვინ იცის, როგორი აღიზრდები!! შენ მაინც მოესწარი სანატრელ თავისუფლებას!.. — ესლა ეთქვა მამას სიკვდილის წინ:

— ხა! ხა! ხა!... — გადინახარა, თურმე, ბოქაულმა.

ბ

გავიდა დრო...

ამბობდენ, ის გარყვნილი დედაბერი ბავშს ცუდად ექცეოდაო; ქუჩა-ქუჩა ამათხოვრებდა ტიტველს, სცემდა, მშვიერს ინახავდა; ოღონდაც ბავშს რამე მოეტანა მისთვის და სულერთი იყო, რა გზითაც გინდა ეშოვნა მას, არ დაგიდევდა ის დედ კაცი; ის ცხვირიდან სისხლს ადენდა, რომ ხელცალიერი დაბრუნებულყო ბავში სახლში; ხამთარში, სიცივეში ღამე გარეთ გამოავდებდა, ოთახში არ უშვებდა, და მიტოც სახლის შესავალში იკუნტებოდა და ათევედა ღამეს, ხან კიდევ საღ...

ერთ ასეთ ღამეს ციხიდან გამოშვებული ერთი ქურდი და მეორე ჯიბგირი მოდიოდენ თავის შესაკრებ საჩაიეში, რომლის პატრონი მათ მეთაურ უსტაბაშად ითვლებოდა. მათ შენიშნეს მიტო, ალყაფის კარებთან მჯდომი.

— ბიჭო, ხიხო, ეტყობა, ვიღაცა უპატრონოა, თორემ აქ რა უნდა? — გადაულაპარაკა ჯიბგირმა ქურდს.

— აბა, წამოიყვან, გამოგვადგება ფანჯრებში გადასაძრომად... — მიუგო ქურდმა და შეეკითხა ბავშს:

- ვისი ხარ, თხუნელავ?
- არავისი... ობოლი ვარ... — იყო პასუხი.
- რა გქვია?
- მიტო.
- ბინა არა გაქვს?

— არა... დიდდრო სოფოსთან ვიყავი, აი იმ ქუჩაზე... რადგანაც დღეს ვერაფერი მივუტანე, ვერ ვიშოვნე, გამომაგლო.

— სოფო?! ჰმ... ის ხომ ჩვენი ჩოფკას დედაა, ის ქოფაკი!.. აკი ისიც მაგან დაჩვივა ქურდობას და ციხის მუდმივი სტუმარი გახადა... — გადაუჩურჩულა ქურდმა ჯიბგირს.

— არ გინდა წაგიყვანოთ, თბილად შეგინახოთ, კარგად ჩავაცვათ და გაჭამოთ?

- მინდა.
- აბა, მაშ წამოეთრე.

და პატარა მიტო გაჰყვა. მას ჩაცვეს... აქ-მეს... თბილ ოთახში დააძინეს...

დ

— ეს პატარა მაიმუნი კარგად უნდა გავწვიოთნათ, ვასწავლოთ კედლებზე და ხეებზე აფოფება, ღამე ფანჯრებში გადაძრომა და სხეირო რამეების აწაპვნა, — უთხრა ქურდმა უსტაბაშს მეორე დღით: — ვნახოთ, იქნება ორთითა გამოდგეს... — და ატანა ჯიბგირმა.

— კარგი, თქვე ყურუმსადებო, ვნახოთ, გამოვცადოთ... — მიუგო უსტაბაშმა.

— აბა, მაჩვენე მარჯვენა ხელი? — ამ თქმასთან ერთად უსტაბაშმა მიტოს თითებს დაუწყო სინჯვა. — ჰმ... ეს ორთითად გამოვიყვანოთ, სჯობია. შეხეთ, რა გრძილი თითები აქვს. ჯიბგირი იყოს...

მან მიტოს სალოკ თითს დროვამოშვებით გაწევა დაუწყო, რომ შუალა თითის გასწვრივ დაეყენებია, რათა პორტმანის ამოდება უფრო ადვილად შესძლებოდა.

მიტოს თუმცა სტკიოდა, მაგრამ ბოლოს მიეჩვია...

მან არ იცოდა, რად უშვებოდენ ასე...

ბოლოს უსტაბაშმა თავის ჯიბეში ასწავლა ორი თითის ჩაყოფა და იქიდან საფულის ამოდება; შემდეგ დაარჩია, თუ ვის როგორ მიპარვოდა, როგორ ამოეცალა და მასთან შორიახლოს მიმდევნ საჩაიეში მყოფი რომელიმესთვის გადაეცა; ასწავლა, თუ, ვინიცობაა, დაიჭერდენ, როგორ უნდა მოქცეულიყო, რაც უნდა ეწვალებინათ, ეცემათ, — ხმა, კრინტი არ დაედრა, თავი ისე დაეჭირა, ვითომც არაფერი იცის და სხვა...

— შენ, ეი, ყვიციანო, დღეიდან, როგორც აქ სუყველას, მეტ სახელად კურკა გერქმევა, და დღის რაზმში იქნები. რასაც იშოვნე, თუ აქადმე ვერ მოიტანო, ხიხოს, ან პაჭუას გადასცემ; — უთხრა მეთაურმა და მიუთითა ორ ჯიბგირზე, რომლებიც მეორე ოთახში ყომაძს, ბაიბურტს თამაშობდენ.

მიტო, ამ დღიდან კურკა, დაილოცა ჯიბგირად, თუმცადა კი არ იცოდა რას ნიშნავდა ეს, თუ რისთვის ზრდიდენ ასე; მან იცოდა მხოლოდ ის, რომ საზარელ ბებერ სოფოსთან აღარ იქნებოდა, რადგანაც ამ ხალხმა ჩააცვა, აქამა, თბილ ოთახში დააძინა და აღარ ჰშია...

ის იზრდებოდა აქ და ხედავდა საექვო ხალხის ცხოვრებას, როგორ იქცეოდენ, როგორ მოჰქონდათ ნაქურდალა ნადავლი, აბარებდენ უსტაბაშს, იყოფდენ, ჩხუბობდენ, ბებუთებით იწევდენ ერთმანეთზე, ყომაძობდენ, ქეიფობდენ; თუ რომელიმე მათგანს დაიჭერდენ, უსტაბაში ანთავისუფლებინებდა; ის ხედავდა სხვადასხვა ჯურის ქურდებს, ჯიბგირებს, ავაზაკებს და იყო გინება, კრივი, ლოთობა და ვინ იცის კიდევ რა!..

ის აქ ხელდავდა ქუჩის გარყვნილ ქალებს და რაზმის წევრი ქალი, მეტსახელად ციგანკა, როგორც აქ ეძახდნენ, ხომ ხშირად სილებს აქმევდა ხოლმე კურკას, როცა ის დაავალგბდა რაზმის რომელიმე წევრისათვის ფული მოეპარა და მისთვის გადაეცა, რასაც ბიჭი არ ასრულებდა ხოლმე.



ქვიშხეთის ბანაკი. პიონერ კ. ლისიციონის მიერ გადაღებული სურათი: „პატ და პატაშონი“.

ქალაქში ისეთი ქურდობა, ჯიბგირობა არ მოხდებოდა, რომ აქ არა სცოდნოდათ; აქ იყო ყველას ბუდე; აქედან იზმებოდა ყველა ასეთი ძაფი; აქ ჰქონდათ თავისებური წესები და ადათი და ვაი მას, რომელიც გადაუხვევდა ადათს: ბებუთი და მისი ბედის გადაწყვეტა მზად იყო...

ყველა ემორჩილებოდა უსტაბაშს და მხოლოდ ციგანკამ გადაუხვია ამ წესს, და აკი მეორე დილას ნახეს ის ყელგამოჭრილი მტკვრის პირას, ხუროებთან...

ეს მოხდა მაშინ, როცა მან რაზმიდან გასვლა დააპირა.

მოჰკლეს იმიტომ, რომ მას საიდუმლო არ გაეჩქვა.

აი სად იზრდებოდა კურკა, № 13, აი რას ხელდავდა ის.

ბევრჯერ დაჭერილიც იყო, სცემდნენ, მაგრამ არავინ ვასთქვა, რადგანაც იცოდა, რომ მოკლავდნენ ამისათვის...

მან აქ შეისწავლა ქურდული ენა, ჯიბგირობის საიდუმლო ნიშნები და გამოთქმაც...

თუმც ეს ბავშოთა კოლონია მაშინაც იყო, მაგრამ მცირეწლოვან დამნაშავეებს ისე ზრდიდნენ, როგორც ტუსალებს და მათთან არავითარი აღზრდელილობითს მუშაობას არ აწარმოებდნენ, არაფერს არ ასწავლიდნენ. ახლა კი სულ სხვაა, ჩემო სიკო, შენ ახალი კაცი ხარ აქა და არ იცი, თორემ ეგრე არ იმსჯელებდი...

საბჭოთა ხელისუფლება დიდ მზრუნველობას იჩენს ყველა უპატრონო ბავშვის მიმართ და ასეთ ბავშვებს, რომლებიც ცუდ კაცებად არ დაბადებულან, არამედ უწინდელი ცხოვრების აუქანლობამ გარიყა ქუჩაში, ადამიანებად ხდის, მუშად, მშრომელად ზრდის, განათლებით კეთილ გზაზე აყენებს და საზოგადოების პატიოსან წევრად აქცევს...

7

ხელამხედველი რომ ზემონათქვამს უყვებოდა ღურგალს, ამ დროს რკინის გზის ლიანდაგზე მიდიოდა ორი ბიჭი და, რა ღრმა ღელეს ბაქანს გასცდნენ, აქამდე უხმოდ მიმავალნი, აღაპარაკდნენ.

ღამე უქთვარო იყო; ვარსკვლავების ციმციმზე მიჰყვებოდნენ მტკვრის პირად რკინის გზას და, თუ ორთქლმავლის კივილს მოჰკრავდნენ ყურს, გადაუხვევდნენ გზიდან, რომ არ გაეჭყლიტა მატარებელს.

— რაღა ქვეითად მიგყავარ ამ შუალამისას, ბარემ გათენებულოიყო და მატარებლით წამოგდლოდით, — მოუბრუნდა წინმიმავალი, პატარა, უკანას, მასზე დიდს.

— არა. ღამიანადღე უნდა მივიდე, რომ ხვალ არ მოვცდე, პირი არ შევირცხვინო ჩემი იქ არყოფნით, — მიუგო მან და უბიძგა წინას, რადგანაც ის ჯიუტობდა გზის განგრძობას.

ეს იყო მიტო, № 13, რომელსაც ამ ერთი კვირის წინად კოლონიიდან გამოქცეული ტიტკოა მიჰყავდა.

№ 13 იმ საღამოს, როცა ის მცირეწლოვან დამნაშავეთა შრომის სკოლის წინ იდგა, შენიშნა მცხეთიდან მომავალ მატარებელზე ტიტკოა და ბევრი აღარ უფიქრია, ისკუპა და, რადგანაც მატარებელმა უკლო სვლას, ზემო-აგვალის ბაქანთან მოახლოვების გამო, ზედ შეახტა; მას უნდოდა ჩამოეყვანა, მაგრამ ტიტკოა ხალხში დაემალა, ვეღარ ნახა...

ტფილისამდე ჩამოყვა და იმ დროს სტაცა ხელი სადგურზე, როცა ტიტკოს უნდოდა გლეხი დედაკაცის საესე კალათის მოპარვა...

— აა, შენ გეგონა გამეჩქეოდო?! წამო ჩქარა!.. — უყვირა მიტომ.

— არ წამოვალ!.. რა გინდა ჩემგან?! — გაჯიუტდა გაქცეული.

— წამოდი მეთქი ახლავე, თორემ მილიციელს დაეუძახებ!.. — დაემუქრა მიტო, კალათი პატრონთანვე დაატოვებინა და სადგურიდანვე გაიგლო წინ, რომ არსად გაპაროდა.

ქვეითად წამოიყვანა, რადგან დარაჯისაგან გაიგო, დილაზე აღარაფერი მატარებელი არ იქნებოდა, ჩუმად მიდიოდნენ...

3

მიტო გაიტაცა ფიქრებმა იმაზე, რომ უნებართვოდ წამოვიდა, სიტყვა მისცა მასწავლებელს და კი ვერ შეასრულა, რცხვენოდა; საბოლოოდ სიტყვებს ვერ პოულობდა; გვეგებს აწყობდა.

— რა ვქნა, მატარებელზე შეხტომის დროს რომ არავინ იყო ჩვენები, ვისთვის შეთქვა? მატარებელზე ახტომა ხომ ნაუცბათევი იყო, მოულოდნელი!.. მაგრამ ხომ მაინც დამნაშავე ვარ?! — ფიქრობდა ის.

მისდევდა ტიტკოს და ელვის სისწრაფით გაუქროლა მოგონებებმა გონების თვალწინ: ობლობა, ბებერი სოფო, უსტაბაში, ჯიბგირები, „ციგანკა“, ცემა, დაქერა და ძრავალი სხვა... შემდეგ ამ კოლონიაში გამოგზავნა, შრომის სკოლაში, სადაც საკუთარ შეილივით ზრდიან, უვლიან, სადაც სწავლობს ხელობას, წერა-კითხვას, მუსიკას, სადაც ვარჯიშობს ფიზკულტურაში, სადაც იზრდება ქვეყნის მომავალ ბუროჯად, პატიოსან მშრომელად, და უფრო შერცხვა უსებათვოდ წამოსვლა, უფრო დაღონდა...

მაგრამ მას ამხნევებდა თავისი გადაწყვეტილება: ყველა ქუჩის ბავში დაეხსნა, ეშველა რამე...

ტიტიკოც ხომ მასავით ვილაც ქურდებთან და საექვო პირებთან დადიოდა, და გადაწყვიტა ენახა, იცოდა, რომ ისიც დაიღუპებოდა, თუ აღრევე არ უშველიდა; კოლონიაშიც იმითომ ამხანაგობდა მას, არიგებდა, მაგრამ რა ამ ერთი კვირის წინად ტიტკო მაინც გამოიქცა, გული აიკრუა მასზე...

— კი, მაგრამ რომ არ ესმის ტიტკოს აქაური სიკეთე?! მე რომ არ მესძოდა პირველად, აკი ორჯერაც გავიქეცი!.. — გაიფიქრა და გადაწყვიტა, რადაც გინდა დასჯდომოდა, ეპოვა ტიტკო და მოეყვანა.

აი ამ ფიქრებში იყო მიტო, როცა მან ტიტკო შენიშნა მატარებელზე და შეახტა.

— სირცხვილია, ტიტკო, არ ვარგა იმ ხალხში ყოფნა. ხომ იცი, რომ მეც ჩამითრიეს მათ და, თუ დროზე არ გამოვეგზავნეთ აქ, დავიღუპებოდი მათ ხელში... იყავი აქ, რად გარბინარ? ხომ ხედავ, როგორ კარგად გვეპრობიან, ყველაფერს გვასწავლიან, ადამიანებად გვზრდიან, რომ პატიოსან მშრომელებად დაუბრუნდეთ საზოგადოებას და არა ზედმეტ ბარგად. როგორც მე, შენც ობოლი ხარ და ჩვენი ოჯახიც, ჩვენი დედ-მამაც ჩვენი შრომის სკოლა; ნუთუ ვერ უნდა შევეგუოთ?! — ეუბნებოდა მიტო.

ტიტიკო ისმენდა ჩუმად და ხმა ვერ ამოეღო, რცხვენოდა თავისი ნამოქმედარის, არ იცოდა, როგორ გამოესყიდა...

გლდანის მხრით გაისმა ტურების ყმუილი...

— მგლებია?! — იკითხა ტიტკომ შეშინებით და მიტოს გვერდზე აეკრა.

— არა, ტურებია. ნუ გეშინია!.. — დაამშვიდა მიტომ და ხელი დაუჭირა.

ცივი ნიაფი ქროდა,

უფოთლო ხეები ლობის იქით, ვენახებიდან, ყაჩაღების მიერ გაძარცულ მგზავრებივით და ღამეში...

თითქოს მახათის ქედზე ელნათურა აენთოო, ისე ამოგორდა იქ ყბამოდრეცილი მთვარე და ვადმოხედა პატარა მგზავრებს...

მტკვრის სიმღერაში ძილს შეეპყრო ავქალა და მხოლოდ წყალსადენის მანქანების მაჯისცემა და რკინის გზის სადგურზე ზარის ახმაურება თუ ღა არღვევდა სიჩუმეს...

შორს გამოჩნდა ზაპვის აჩირალდებული თვალებიც...

ორი გაქცეული უახლოვდებოდა თავის ოჯახს, მცირეწლოვან დამნაშავეთა შრომის სკოლის დიდ შენობას...

6

მამლებმა იყიველეს; ძაღლებმა დაიყეფეს და გვიანებულ მგზავრებზე, როცა ჩვენმა ნაცნობმა პატარებმა სკოლას მიაღწიეს...

ნავთის და მაზუთის ცისტერნები მოგოგმანებდა გველებივით გაწოლილ ლიანდაგზე, ორთქლმავლის ზანტი ქშენით, რაიც მოგაგონებსთ უდაბნოში ღამით მომავალ აქლემთა ქარაფანს, რომელიც დღისით მზის გადამტრუსავ ალს გაურბის წყლის მონატრული და ეძებს ოაზისს...

და ჩვენი პატარები მიაღეენ თავის ოაზისს, სკოლას...

— მაპატიეთ, მასწავლებლო, რომ უნებართვოდ გაგებდე წასვლა, მაგრამ ჩემდა უნებურად მოხდა, ტიტკო შეენიშნე მატარებელზე და შევეუბტი... — მორცხვად სთქვა მიტომ, რა წარუდგა.

— ეგ კი კარგი, ყოჩაღ, მაგრამ შემდეგ მაინც არ ჰქნა... სადაა ტიტკო?

— აგერ, იქაა, კარებთან... დამპირდა, რომ აღარ იზამს... — ამ სიტყვებთან ერთად მოიყვანა კიდევ ტიტკო.

— პატიოსან სიტყვას ვიძღვევი, რომ აღარ ჩავიდენ!.. — სთქვა ტიტკომ და მორცხვად ჩაღუნა თავი...

— მართლაც, ადამიანი დამნაშავედ არ იბადება... — წარმოსთქვა ღურგალმა და ღიძილით შეხედა ზედამხედველს, მერე სიყვარულით გადაუსვა ხელი ქოჩორზე მიტოს, დაარიგა ტიტკო და შერცხვა თავისი სიტყვების, რომელიც მიტოს შესახებ სთქვა.

ჭრიამულობდა ბავშთა შრომის სკოლა და სიცოცხლე დულდა: ვინ იცის, როგორი ბავშვები იყვნენ აქ: ობოლნი, უპატრონონი, ქუჩაში მოხეტიალენი, საექვონი, ქურდებად, ჯიბგირებად წოდებულნი ოდესღაც და ახლა კი, კარგი სწავლით და მშობლიური მოპყრობით, გამოკეთების გზაზე დამდგარნი, ოქტომბრის ქვეყნის თავისუფლებით ამღერებულნი...

ოდესღაც კურკა, ახლა მიტო, ყველას საყვარელი და სამაგალითო ამხანაგი იყო...

როცა სკოლა რაიმე დღესასწაულს ჩაატარებდა, ან სადმე გასასეირნებლად წაიყვანდა ბავშვებს, წინამძღოლად მემუსიკეთა შორის შენიშნავდით № 13.

სენმან ერთაწმინდელი.



საუზრემო მშენებლება


ეს მშენებლები

წიგნაკრ.

ბუნებაში ბევრი ძალიან მომხიბლავი სურათია, ადამიანის თვალს იტაცებს ხან თვალუწვდენელი ველები, ხან ცამდე ამართული მთები, მომხიბლავი ჰეიზერები და ათასი სხვა რამ, და ერთ-ერთ მეტად უცნაურ და თვალწარმტაც სურათს წარმოადგენს აგრეთვე ჩანჩქერი ნიაგარა, რომლის აღწერა ადამიანს არ ძალუძს. თვალი ვერ წვდება მთელ ჩანჩქერს, ვინაიდან მისი ვანი... 1 1/2 კილომე-

ტრის მთელი ეს მასა ჩაიქცევა სადღაც უფსკრულში და თან ჩაიტანს ნაპირებს, შენობებს, ხიდებს, მატარებელს.

საიდან არის ეს აუარებელი წყალი? ჩრდილო-ამერიკის დიდი ტბების მთელი წყალი ნიაგარაში მოდის, მათი წყალი კი მთელი დედამიწის მტკნარი წყლის ნახევარს უდრის.



ნიაგარა

ტრია! „უტქვენს“ თვალწინ არის წყლის ორი კედელი: ერთი — კანადის ჩანჩქერი, მეორე — ამერიკული ჩანჩქერი, რომელიც თითქმის ციკაბო სიბრტყეს წარმოადგენს. იმათ შორის არის „თხის“ კუნძული, რომელიც მოძრავი გგონიათ წყლის გრილისა და შხეფების გამო და ყოველ წუთს მოელით—აი, ახლა ჩაიქცევა წყლის უფსკრულში. ორივე ჩანჩქერს თავს დასდგომია წყლის შხეფების მთები, ზევით გამჟვირვალე, ქვევით კი ისე სქელი, რომ არც ჩანჩქერების ძირი ჩანს, არც მდინარე. ძირს რაღაც საშინელებაა: იქ ერთმანეთს ებრძვის ქაფის გორები, შხეფები და აქა-იქ ამოხეთქილი შადრევნები. ეს საშინელი მორევი ხან აიწვეს, ხან დაიწვეს, და ასე გგონიათ, რომ შხე-


თვითონ მდინარე ნიაგარა ჩანჩქერებს ზევით მოქუსს და მისი კალაპოტი კიბის საფეხურებივით მოიწვეს ჩანჩქერისაკენ. ამ საფეხურებზე მოქშუის ზღვა წყალი, რომლის ყურებით ვერ ძლება ადამიანის თვალი. ჩანჩქერთან ყველა საფეხურის წყალი ერთდება, გადაქუსს ძირს და მილრიალგებს ხეობაში, რომლის ორივე მხარეს აშართულა 60 მეტრის სიმაღლე ციკაბო კლდეები. ამ ხეობაში გამომწვედელი გაგიჟებული მდინარის სიღრმე 45 მეტრს უდრის. მატარებელი ჩერდება საინჟინერო ხელოვნების სიამაყე დაკიდებულ ხიდზე, რომელიც 60 მეტრის სიმაღლეზეა მდინარის კალაპოტიდან, და ადამიანი იბნევა, თან ქრუანტელი გიგლის უფსკრულში ჩახედვით, თან თვალი რბის—არ იცით, რას უტკიროთ, რით დატკებთ!

წყალს, რომელიც გადაქუსს ნიაგარის ჩანჩქერებზე, 6 მეტრის სიღრმე მაინც აქვს! შესანიშნავია ცისარტყელები წყლის მტვრში, უცნაურად რომ ლივლივებს და გულს ატკობს. ასეთი ცისარტყელები ღამეც არის, მთვარის შუქზე.

მთვარის კუნძულზე არის მოწყობილი ბაქანი, საიდანაც ძალიან ღამაში მოჩანს ამერიკული ჩანჩქერი; აქ წყალი, ვანიტ 820 მეტრი და სიღრმით 46 მეტრი, ერთბაშად ვარდება უფსკრულში.

თხის კუნძულს გარდა არის კიდევ რამდენიმე კუნძული. ისინი შეერთებულია რკინის ხიდებით. როდესაც განაპირა კუნძულზე დგახართ, ისე გეჩვენებათ, თითქოს კილომეტრის სიგანე წყალი პირდაპირ ციდან მოქშუის

კალაპოტის საფეხურებზე. აქ ისე ბორავს და ღრიალებს მდინარე, რომ ჩანჩქერების ხმაური კი იკარგება მის ხმაში. ბევრის აზრით ეს სურათი უფრო თვალწარმტაცია კი არის, ვიდრე თვით ჩანჩქერები. ერთ ადგილას კალაპოტში მოჩანს კლდე, რომელსაც გააფორმებთ ეჯახება წყალი, ხანდახან შევეულ კედლად აიშარტება, ერთხანს შეჩერდება ასე და მერე თავს გადაეგლება კლდეს. მთელი საათობით სხედან ამ კუნძულებზე ბუნების დიადი სურათით მოზიბლული და დამუნჯებული ადამიანება. ძალიან რომ გინდოდეს, მაინც ვერ გააგონებ მეზობელს, თუ ყურში არ ჩაყვირე—წყლის ასეთი ხმაურია ირგვლივ.



ნიაგარა

აი რას ამბობს ერთი მნახველთაგანი: „წყალთან მივედი ბაქანზე, როგე უსაც მაგარი მოაჯირი აქვს, და საშინელი რაღაც ეხილე. ხევში, რომელსაც შავი და თითქმის შიშველი კლდეები აქვს, ვარბის წყლის მძლავრი ნაკადი; მისი კალაპოტი დაქანებულია, და საშინელი სისწრაფით მიდის უზარმაზარი ტალღები, ერთანეთს რომ ეწევა და ასწრებს. ყველამ იცის, რამდენად არასასიამოვნოა, როდესაც რკინისგზის ლიანდაგთან დგახართ და სწრაფი მატარებელი ჩავიქროლებსთ. ვარემოცული მინდვრის მაგივრად ველური ხეობა წარმოიდგინეთ, მატარებლის მაგივრად კი—80 მეტრის სიგანე და ამ სიღრმისევე წყალი, რომელიც საათში 50 კილომეტრის სიჩქარით მიქმუის! საშინელია დგომა, თუმც მოაჯირზე გიკირავსთ ხელი; ყოველ წამს გგონიათ, თითქოს ბაქანს ერთბაშად მოჰკლევს გაცოფებული წყალი.

ჩანჩქერის ქვემოთ არის „მორევი“, სადაც კლდე უღობავს გზას წყალს, და ნიაგარა ერთბაშად მარჯვნივ მიექანება ამ მორევისაკენ, ეს მორევი საშინელი სანახავია, ეს წყალი ძრწის, დუღს ცოდმორეული.

თხის კუნძულზე პატარა სახლია, სადაც არის მოწყობილობა ჩანჩქერის ქვეშ საშიში გასეირნებისათვის. დამაწერინეს ჩემი გვარი და მისამართი, რომ ცოდნოდათ, თუ ვისთვის უნდა გაეგზავნათ ჩემი ნივთები და ფული, თუ, ვინცობაა, წყალში ჩავვარდებოდა. შემდეგ მომცეს ცალკე ოთახი, სადაც ჩავიცვი შალის თბილი შარვალი და კურტკა, ზევიდან კიდევ ჩავიცვი ფისით გაქვნილი ტილოს შარვალი და კურტკა. ტიტველ ფეხებზე ნაბდის ნაჭრები ამომაკრეს, რომ ფეხი არ ამსხლტომოდა ჩანჩქერის სოველ კლდეებზე.

ზორბა ამერიკელი — გამყოლი — გამიძღვა, და დავიწყეთ დაკლავნილ კიბეზე ჩასვლა; 185 საფეხური და ვითვალე. ბოლოს სწორედ იქ ვავედიო, სადაც ორივე ჩანჩქერი ერთდება. ჩემს თავს ზევით და ფეხებთანაც ღრიალებდა წყალი. გამყოლმა ხელი მომიკიდა, აქ მოაჯირი აღარ იყო. სუნთქვა შემეკრა, მინდოდა შევჩერებულიყავ და შემესვენა, მაგრამ ვაპყოს ვერ ვაგავონე... მიმათრევს ქვევით, სოველი ასრიალებული კლდეების ნაპირას. თვალთ დამიბნელდა, წყალი ზევიდანაც და ქვევიდანაც მესხმოდა. ერთადერთი დასაყრდენი—ეს იყო გამყოლის ხელი. მაგრამ მას რომ ფეხი აუსხლტეს? დავიყვირე, მაგრამ ჩემი ხმა მეც ვერ ვაგავონე.

რამდენიმე წამის შემდეგ უკვე სამშვიდობოს ვავედიო. მთლად გაწუწული ვარ, საშინლად მცივა, შიშმა ღონე წამართვა. გამყოლი იღიმებოდა.

ძლივ-ძლივობით ავედიო ზევით. მეორე დღეს გადავწყვიტე გემში ჩაჯდომა და ნიაგარის ჩანჩქერის მდინარიდან ნახვა.

30 კაცი მოვგროვდიო. გემი მზადაა. ყველას მოგვცეს პლაშები, რომლებშიც წყალი ვერ გაატანს. დაიძოა გემი. საოცარია, როგორ ჭრის ამ ვაგიეებულ წყალს! უკან რომ წაიღოს მდინარებამ, ხომ გადაჩეხავს უფსკრულში! გემის მანქანები გამალებით მუშაობდა. ისე გვესხმას შეხეები, თითქოს კოკისპირული წვიმააო.

თუმცა ნაპირის სხვადასხვა პუნქტიდან შესანიშნავია ნიაგარა, მაგრამ მდინარიდან, გემიდან სულ სხვაა, ეს მართლაც გამაბრუებელ-დამატკობელი სურათია! გემი უშიშრად მიცურავდა, მაგრამ ჩანჩქერს მხოლოდ 100 მეტრზე მიკუახლოვდიო და წყალი წურწურით ჩამოგვიდოდა შეხეებისაგან. გემის მანქანები სულ მუშაობდა, რომ წყალს არ ვაეტაცნა დაბლა. ერთი საათის შემდეგ გაწუწულნი, მაგრამ ნასიამოვნები დავბრუნდიო ნაპირზე.

ზამთრობით უფრო მეტად ლამაზია ნიაგარა, ვიდრე ზაფხულზე, ჩანჩქერების ძირას შეხეები იყინება და ყინულის მთებად იქცევა. ზოგჯერ ჩანჩქერებს ქვემოთ მდინარეს სქელი ყინული გადაეკრის ხოლმე, მასზე დასრიალობენ თხლამურებით, ქვეშ კი წყალი მიდის თავისთვის. ხანდახან საშინელი ყინულები ცვივა ძირს, რაც მეტად ლამაზი სანახავია.

ამერიკელებმა კარგად გამოიყენეს ნიაგარის ჩანჩქერი და სარგებლობაც დიდი აქვთ: აქ მოაწყეს წისქვილები, სადაც წლიურად 30000 ვაგონი ხორბალი იფქება, ე. ი. დღეში 82 ვაგონზე მეტი. შ. თ.

ქიარიზი.



სოფელი ჩუხური სიბნელეს მოეცვა. ღამე შავი იყო, და ცაზე ბნელი ღრუბლების მეტი არაფერი მოჩანდა.

გზას, რომელიც სადგურიდან სოფლისაკენ მიიკლავებოდა, ცხენის ჩქარი სუნთქვა და ტორების ხმა აღვიძებდა.

ნაბადში გახვეული მხედარი ისე ჩქარობდა, რომ საჩქარო და საიღუმლო საქმე უნდა ჰქონოდა.

ოფელში გაწურული ცხენი ელვასავით მიაქროლებდა მხედარს.

სოფლის თავში ორსართულიანი სახლი იდგა.

იქაური მოსახლეობა ძლიერ გაქირვებით ცხოვრობს.

უმეტესი ნაწილი მეზამბეობას მისდევს, ბამბას კი მთავრობა იღებს და თესვის დროსაც ფულს წინდაწინ აძლევს გლეხობას.



კოჯორის ბანაკი. პიონერები წყაროსთან.

ამ ორსართულიანი სახლის პატრონს ალავერდას შავრად აქვს ბრჭყალები ჩაქყიდული სოფლის მოსახლეობისათვის, აქამდეც ვერაფერს აკლებენ მას.

ალავერდა გრძელ დარბაზში ბოლთასა სცემს. თვალები ცეცხლივით ანთებია.

ჩიბუხის კვამლში გახვეული დროგამოშვებით შეჩერდება და ნაღვლიანად ამბობს: „ნუთუ არ მოვა?“ და დაიწყებს ისევ სიარულს.

* *

ალავერდას სახლთან გაოფლიანებული ცხენი მივარდა.

აჩრდილმა კიბეზე სწრაფად აიბრინა და კარებთან გაქრა.

- დავიანდა.
- არა მგონია, მოვასწრებ.
- შენ იცი, ოსმან, სამასი მანეთი კარგი ფულია მაგისტანა ქეციანი კომუნისტის მოკვლაში. ვინ რას იტყვის.
- საშიშია, სოფლის თავია.

— ფუ, შენს ვაჟაკობას! გეშინია? იმის ანაკაცები მომიკლავს, რომ მდევებს შესქამდენ და ეგრა არის!..

— ქიარიმაც ხომ კომკავშირელია, შენი ღვიძლი შვილი.

— ჰო, კომკავშირელია. მთელი სოფელი წაახდინეს, შვილები გავეირყვნეს. ეს ამბავი რომ გაიგოს, თავისი ხელით დაღვეს ჩემს სისხლს. ქალიც კი გამიკომუნისტდა, ყურს აღარ მიგდებს, მამად აღარა მთვლის. ვინ გაიგონა, ქალმა ჩადრი მოიხსნას და მამაკაცს თვალებში შეხედოს? ო, იოლდაშ, ეს სოფელი შენ გადარიე, ცხვრის ფარა შენ გამიწყალე, მაგრამ არ შეგრჩება, ხვალვე აგეგება ანდერძი!..

— ქიარიმა იოლდაშისთვის თავს გასწირავს, თუ შეიტყო ეს ამბავი.

— მართალი ხარ, ოსმან. სულ ერთად არიან, კითხულობენ რალაც სავერანე წიგნებს, მაგრამ რას გაიგებს? მთებში გზა რომ იყრება, იქ ჩაუსაფრდი; მაშინ ჩემ ცხვარსა და ძროხას ბარაქა მიეცემა, სოფელში ხმასაც მომცემენ და ჩემი საქმე წინ წავფული?

- ნახევარი ახლა მომეცი.
- დაიცა, მოვიფიქრო.
- რალა მოფიქრება უნდა, სუყველაფერი მზად იქნება ზეგ დილისათვის.
- აჰა, დაიქი, მაგრამ, ხომ იცი, არც შენ გადამირჩები, თუ მომატყუე.
- ასე იყოს, მშვიდობით.
- მშვიდობით.

ნაბადში გახვეული კაცის აჩრდილი ხეებს მიეფარა.

ამ ლაპარაკის დროს ქიარიმა ფანჯრიდან უგდებდა ყურს ალავერდასა და ოსმანს.

— გიჩვენებ, მამაჩემო, სეირს! — გულზე ხელის დაკვრით დაემუქრა და ხეების ჩრდილებს მიეფარა.

* *

სოფელში ყანების მკა გათავდა. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა უკვე წავიდა მთაში.

მთელი სოფელი აქოთქოთდა, გზები ძროხებისა და ცხვრის ფარის ბლავილმა გაახმაურა.

ალავერდაც დღეს მიემგზავრება მთისკენ. საჩქაროდ ჩაიბრინა რეკვამში შვილის მოსაძებნად.

- ქიარიმ, წავიდეთ მთაში.
- არ მოვდივარ, — იყო მტკიცე პასუხი.
- მაშ ჩვენ წავალთ.
- წადით.
- მარტოკა უნდა წამოხვიდე?
- არა, იოლდაშთან ერთად.
- იოლდაშთან?!
- ჰო.

ალავერდას სახე დაემანქა, თოფით კლდეზე გაწოლილი ოსმანა წარმოუდგა თვალწინ, ცივმა ოფლმა დაასხა სახეზე.

— არა, ჩემთან უნდა წამოხვიდე, არ გაგიშვებ იოლდაშთან.

— მომშორდი, ეშმაკო!—დაუღრიალა ქიარიმამ და ხანჯალი ქარქაშიდან ამოსწია.

— მამის სისხლი გახელებს? დაუფიქრდი, რასა შერები, ქიარიმ!

— დასაღვრელია.

— მაშ კარგი, ჩაილაპარაკა ალავერდამ და სახლისაკენ შეტრიალდა.

მას თვალწინ წარმოუდგა იოლდაშის მაგივრად ტყვიით განგმირული შვილი, სახე მოელუშა, მაგრამ ხელი ჩააქნია და გაიფიქრა:

— ეგეც იმათი ძაღლია.

ალავერდა ხედავდა, რა ქიარიმ კომკავშირის მუშაობაში ჩაება, მრუდი თვალით უცქერდა ცხვარსა და ძროხას, არცერთი დღე აღარ მწყესავდა, მხოლოდ წიგნებში იყო მთელი დღე ჩაფლული.

როდესაც გულშემატკივარი ალავერდა დაეკითხებოდა შვილს:

— რა ვქნათ, ცხვარზე რომ ბევრი ნალოგი მოგვივიდა და კულაკადა გვთვლიან?

ის ასე უპასუხებდა:

— სოფლის ღარიბ მოსახლეობას დაურიგე და საბჭოთა ქვეყნის სადარაჯოზე დადექ ს ბრძოლველად.

ალავერდა ღელდებოდა, უნდოდა ბოლო მოელო საკუთარი შვილისათვის, მაგრამ მის თვალებს რომ შეხედავდა, გული შიშით აევსებოდა და თავჩალუნული გასწევდა ბოსლისაკენ.

* * *

მთაზე გაწოლილი ოსმანა გულის ფანცქალით მოელოდა იოლდაშს.

მოწმენდილი ცა იყო.

მთვარე შუქს უხვავდა ფენდა ნისლში გახვეულ მთებს.

მთებიდან მთებზე შემზარავი ყვირილით გადადიოდა მიკიოტის ჩახლეჩილი ხმა. ტინით გავსებულ ხეებში ჩაჩხრიალებდა წყარო და მისი ერთფეროვანი ხმაური კლდეების ძირას იკარგებოდა.

გრილოდა.

სადაც შორს, მთების გადაღმა, შეჰყეფდა ძაღლი, და მის ამოძახილს კლდეების ორწოხები იმეორებდა.

ოსმანას არ იტაცებდა ბუნების სიმშვენიერე.

მალლა კლდე იყო კედელივით აზიდული, დაბლა კი ვიწრო გზა მოიკლაკნებოდა. აქ უნდა გამოეყოთ იოლდაშსა და ქიარიმას.

ოსმანას თოფი მზადა ჰქონდა ერთი ტყვიით იოლდაშის უღრანებში გადასაჩეხად.

* * *

ქიარიმა და იოლდაში მთების ყელს საუბრით შემოუდგენ. იოლდაში პოლიტიკურ საკითხებზე ესაუბრებოდა ქიარიმს, მაგრამ მას არაფერი არ ესმოდა.

იოლდაშს უკვირდა მისი ასეთი საქციელი, წინად ისე სიტყვას ვერ იტყოდა, რომ კრიტიკაში არ გაეტარებინა, ახლა კი ხმასაც არ იღებდა.

— რა ამბავია, ქიარიმ, რატომ ხმას არ იღებ?


— არ ვიცი, ხსიათზე არა ვარ.

იოლდაშს ვერ გაეგო, თუ რად იყო ქიარიმ მოწყენილი.

მთების ყელებს ამოცილდენ. მალე გზა გაიყრებოდა, და კლდის ბილიკს უნდა დასდგომოდენ.

— წადი, იოლდაშ, მოგეწევი, — უთხრა და ცხენი მარცხენა კლდის ფერდობზე შეაგდო.

— სად მიდინარ, გზა ხომ ერთი გვაქვს? — შეეკითხა ვაკვირვებულ იოლდაში.



ბანაკი. პიონერები დღის რეჟიმს ისმენენ

— ამ წუთას მოგეწევი, — უთხრა ქიარიმამ და ცხენიდან გადმოხტა. იოლდაშმა გასწია იმ ბილიკისაკენ, სადაც ოსმანა გულის ფანცქალით მოელოდა.

ქიარიმამ მამის საუბარი კარგად გაიგო, იცოდა, ოსმანა სადაც იყო გაწოლილი და სისწრაფით მოურბინა უკანოდან.

მან დაინახა სოფლის წურბელა, რომელსაც ბოლო უნდა მოელო გლეხების ერთადერთი დასაყრდნობი ბოძისათვის.

გული აუძგერდა და მგლურის თვალებით დაუწყო მზერა.

იოლდაშიც გაუსწორდა ოსმანას, ოსმანამ თოფი ოდნავ შეარხია იოლდაშის მიზანში ამოსაღებად, მაგრამ ამ დროს იგრილა ნაგანმა, და კლდის წვრზე შემოტრიალებული ოსმანა ხევში გადაეშვა.

— მამაჩემო, შენც ეს დღე მოგეღის! — შეღრიალა ქიარიმამ და იოლდაშის დასანახავად გადადგა ფრიალოზე.

— იოლდაშ, სოფლის ორგულები ჩვენზე ხელით ისპობიან, თორემ მაგათ მთავრობა ვერაფერს დააკლებს.

— ქიარიმ, ქიარიმ! შესძახა იოლდაშმა და კლდეზე ჩამონადენ სისხლის წვეთებს მიაჩერდა.

გ. შალვაშვილი.

პიონერები სუფთა ჰაერზე, წყლებსა და მთაზე

საქართველოს
კომუნისტური
პარტია

პიონერული ბანაკები პიონერების შრომითი და დისციპლინური აღზრდის ყველაზე საიმედო ფორმაა. ამიტომაც, რომ საქართველოს პიონერორგანიზაციების ცენტრალურმა ბიურომ რამდენიმე ათასი ბავშვი გაგზავნა სუფთა ჰაერზე და მზეზე, სადაც ისინი ფიზიკურად ჯანსაღდებიან (ბანაობა, მზის აბაზანები, ვარჯიში, ექსკურსიები) და ეჩვევიან კოლექტიურ შრომასა და ცხოვრებას.

საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების ც. ბიუროს თავმჯდომარე ამხ. აკაკი მახათაძე, პიონერულ-საბავშვო ჟურნალების რედაქტორი ამხ. ვალ.



ბანაკი. ექსკურსიაზე მიდიან.

ლუარსამიძე, პიონერების ტფილისის ბიუროს თავმჯდომარე ამხ. **გიორგი აბესაძე** და სხვები გავემგზავრეთ პიონერთა ბანაკებში საბანაკო ცხოვრების ადგილებზე გაცნობის მიზნით.

ს. ბ. კ. ო. ცენტრალურ ბიუროს გადაწყვეტილი აქვს მოკლე ხანში გამოსცეს ცალკე წიგნად ის მდიდარი მასალა, რომელიც პიონერულმა ბანაკებმა მოგვცა. ამ წიგნში გაშუქებული იქნება პიონერბანაკობა, ბანაკობის აღმშრდლობითი მხარეები და ის დეფექტებიც, რაც ახსიათებდა ამათუიმ პიონერბანაკს, რომ თავა დავიცვათ მომავალში შეცდომების გამეორებასაგან. წიგნს დართული ექნება პიონერბანაკობის ფოტოწარჩევის მიერ დამზადებული ფოტოსურათები.

ამ წიგნის გამოსვლამდე მოკლედ შევეხებით იმ პიონერბანაკების ცხოვრებას, რომელნიც ჩვენ უშუალოდ ვნახეთ და რომლებსაც დაწვრილებით გავეცანათ.

1. ტფილისის ლენინის რაიონის პიონერბანაკი.

ბანაკი მოწყობილია სააგარაკო ადგილზე — ქვიშხეთში, სოფელ ტაშისკარში. ძალიან კარგია ტაშისკარის მდებარეობა, მშენიერია მისი წყაროები და ჯანსაღი ჰაერი. ტყეებით დაფარულ მთებშია იგი გამომწყვდეული და თვალისათვის იშვიათ სანახაობას წარმოადგენს; აქაა გაშლილი პიონერბანაკი.

ბანაკობაზე გამოყვანილია 300 ბავშვადე*). ბანაკი ყოფი რგოლებად, სულ 15 რგოლია, რგოლში 19 პიონერი, ბანაკში სულ 110 გოგონაა. ბავშვების დიდ უმცლესობას ქართველები შეადგენენ, მერე მოსდევენ

სომხები, რუსები, გერმანელები, თურქები, ოსები, ებრაელები და პოლონელები. ბანაკი პატარა „ინტერნაციონალს“ წარმოადგენს. ბავშვების 96% მუშის შვილებია. ბანაკშივე იმყოფება ორი პედაგოგი, რომელნიც აკადემიურად ჩამორჩენილ ბავშვებს ამზადებენ. ბანაკს თავისი ექიმიც ჰყავს, რომელიც ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნავს. აქვეა სანიტარული კომისია; ექიმს ორი თანაშემწე პიონერი ჰყავს, რომელნიც მხოლოდ პირველ დახმარებას უწევენ ბავშვებს. ყველა ბავშვს სწონიან ხოლმე, ყველას აუცრეს ყვავილი.

ბანაკს ჰყავს საბანაკო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა ლენინის რაიონის პიონერთა რაიბიუროს თავმჯდომარე ამხ. **სანაკოევი**. საბჭოში ყველა ხელმძღვანელი, პიონერკომკავშირელები (ბანაკად მხოლოდ ექვსი პიონერკომკავშირელია), ექიმი, პედაგოგი და სამნეო ნაწილის გამგე შედიან.

დღის რეჟიმი ბანაკად კარგად ტარდება. გამოდის კედლის გახეთი „ბანაკი“. მუშაობს მუსიკალური, დრამატული (ქართული და რუსული), სამხედრო (ნიშანში სროლა, შაშხანის დაშლა-აწყობა, ყუმბარის გაცნობა და სხ.) და ფოტოგრაფიული წრეები. აღსანიშნავია, რომ სამხედრო წრეში გოგონებიც მუშაობენ, ნიშანში სროლაში ხშირად არ ჩამორჩებიან ვაჟებს.

კავშირი მშრომელ გლეხებთან და ჯარის ნაწილებთან.

გლეხები საღამოობით ზურნით ეწვევიან ხოლმე ბანაკს. პიონერები მათ კინოსურათებს უჩვენებენ. ბანაკში სულ ხუთი სურათი აჩვენეს, მათ შორის ერთი იყო „ხანძარი ქუთაისში“ და მეორე საბავშვო ფილმი „გოგი რატიანი“. ბანაკი ეხმარება ღარიბ გლეხებს მინდვრად მუშაობაში, პურის ლეწვაში (კალოზე). ადგილობრივი გლეხები ძალზე კმაყოფილი არიან პიონერების ქცევით და დახმარებით. იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები



ბანაკი. გოგონები სადილს ამზადებენ.

მოდიოდნ საბანაკო საბჭოში და თხოულობდნ პიონერების დახმარებას. შეცდომით რომ არ დახმარებოდნ მდიდარს ან შეძლებულ გლეხს პიონერები, საბანაკო საბჭომ კავშირი დაიჭირა სოფლის საბჭოსთან და კომკავშირის უჯრედთან.

ბანაკმა მოაწყო ექსკურსიები ბორჯომში, ბაკურიანში, ბორჯომ-ბალში, ახალდაბაში, სურამის უღელტეხილ-

*) ჯორის ბანაკშიც 300 ბავშვა.

ზე და იმ სოფელში, სადაც ბანაკად იმყოფება. ექსკურსიას მარტო გამართობი ხასიათი კი არ ჰქონია, არამედ აღმზრდელობითი, ვინაიდან პიონერები ადგილებზე ეცნობოდნენ გლეხების ყოფა-ცხოვრებას, ბუნებას და ბუნებრივ სიმდიდრეებს, წარმოებას და გლეხის ბავშვებს. ბანაკს კავშირი ჰქონდა აგრეთვე რადიოათასეულთან და ნაწილებთან: ჩატარდა საუბრები რადიოზე და რადიომოწყობილებაზე, გაიმართა სროლა ნიშანში, სირბილი და სხ.



ბანაკი. საუბრე მიაქვთ ფარდულში

რაც შეეხება ინტერნაციონალურ კავშირს, არც ამ მხრივაც საქმე ცუდად დაყენებული. ამის თავდებია თვითონ ბანაკი, რომელიც ამიერკავკასიის ეროვნებათა ბავშვებისაგან შესდგება. კარაკლისის პიონერბანაკიდან (სომხეთიდან) ლენრაიონის ბანაკში ხუთი დღეღვატი ჩამოვიდა, ერთად მოაწყეს კოცონი და ერთმანეთს გაუზიარეს საბანაკო ცხოვრების გამოცდილებანი და სხვ.

წარმოებს პიონერთა ამიერკავკასიის შეკრებისათვის მზადება: ყოველდღე 25 წამს მუშაობენ შეკრებისათვის (თავისუფალი ვარჯიში, ლურჯი ხალათი და სხ.).

რაც შეეხება ბანაკის სადგომ ბინას, ის არ ვარგა, მოუწყობელია, თითო პატარა ოთახში 18 ბავშვს სძინავს, რაც უსახსრობით აიხსნება. მაგრამ ბავშვები ამას არ უშინდებიან და ყველაფერს საკუთარი ხელით და დიდი სიყვარულით აკეთებენ, როგორცაა სავარჯიშო მოედანი, გიგანტური ნაბიჯები, ხიდეები, წყაროს გამოყვანა, გზები და საწოლები.

მიუხედავად უვარგისი ბინებისა, პიონერები სუფთად ცხოვრობენ, ყოველ მათგანს აქვს საკუთარი სუფთა პირსახოცი, კბილის „ჩოთქი“, საპონი, სავარცხელი, სუფთა ლოგინი და საცვალს კვირაში ორჯერ იცვლიან. საცვლებს გოგონები რეცხენ, წყალს კი ბიჭები ეზიდებიან.

პიონერები ყოველდღე ბანაკში და მზის აბაზანებს იღებენ. მზისაგან გარუჯულები არიან და მხნედ და ამაყად გამოიყურებიან.

მალე მეორე წყება წავა მზეზე, წყალსა და სუფთა ჰაერზე!

II. ტფილისის 26 კომუნარის სახელობის რაიონის

პიონერთა ბანაკი.

ეს ბანაკი სომხეთშია, კარაკლისიდან ათი კილომეტრით დაშორებულ გამზაჩემანის რაიონში. მდებარეობა იშვიათია და მაღალი. ირგვლივ — ტყეებით მოფენილი მთები, ჯანსაღი ჰაერი და ყინულივით ცივა და გემრიელი წყაროები.

მდებარეობით და კარგებით „26“-ის ბანაკი ყველაზე უკეთესია. მაშინ, როდესაც ლენრაიონის ბანაკი ქვიტკირის შენობებშია გამომწყვდეული, „26“-ის ბანაკი კარგებშია გაშლილი, რაც უსათუოდ ყოველმხრივ გამართლებულია და ყველა ბანაკისათვის მისაბძი.

დღის რეჟიმი. დღის შვად საათზე ანძაზე წითელი დროშა აფრიალდება. პიონერები ანძასთან იყრიან თავს და ხელმძღვანელი აცნობს მათ დღის რეჟიმს. იწყება საქმიანი მუშაობა: ერთნი კარგებს და ეზოს ჰვეიან, მეორენი ნაგავს ეზიდებიან, მესამენი წყალს ეზიდებიან წყაროდან ან ტყიდან შეშას, მეოთხენი შეშას აპობენ ან ჭურჭელს რეცხენ. მეხუთენი სოფელში მიდიან და გლეხებს კართოფილის აკრეფაში ეხმარებიან, გოგონები სარეცხს რეცხენ ან მზარეულს ეხმარებიან კართოფილის და კომბოსტოს დაფუცქენაში; ერთი სიტყვით, ბანაკი ფუტკრის სკასავით გუგუზებს და ყოველივე ეს, რასაკვირველია, მორიგეობით ხდება.

თითო კარავს მორიგე ჰყავს, აქვთ სავარჯიშო მოედანი, საბანაო ადგილი და კოცონი. აწყობენ პიონერები ახლომახლო ადგილებში ექსკურსიებს, გლეხებს შრომითს დახმარებას უწევენ კართოფილის ამოთხრაში, კალოზე და გზების შეკეთებაში. ბანაკი 300 პიონერისაგან შესდგება. გამოდის ბანაკის ორგანო — „ბანაკის ხმა“, რომელშიაც წერილები ამიერკავკასიის ყველა ენაზეა მოთავსებული. ბანაკი ხუთ კოლექტივადაა დანაწილებული; ყოველი კოლექტივი სცემს ვაზეთს (მაგ. „კომუნისმის



ბანაკი. პიონერების საქადრავო ტური

რიფრაჟზე“ და სხვ.). ვაზეთები შინაარსით და ტექნიკური შესრულებით მიმზიდველია. აქ შექმდება ბანაკის ცხოვრება, პიონერთა ამიერკავკასიის შეკრების და დისციპლინის საკითხები და სხვ.

პიონერები სოფელ ვასკრესენსკაიაში იყვენენ, პლაკატები დახატეს და მორთეს სოფლის საბჭო.

ყოველდღე 10 საათიდან საერთო ვარჯიში წარუგებს. 12 საათამდე ბანაკს ასუფთავებენ, წყალს ზომენ,

გოგონები სარეცხს რეცხენ. 12 საათზე საუზმეა: თაფლი, რძე, ყველი, კარაქი, რძის ფლავი — პიონერი იღებს საჭმელს მოთხოვნილების მიხედვით.

მეცადინეობა რგოლებში მაიმინარეობს. ორ დღეში ერთხელ შებინდებისას დანთებულ კოცონთან საუბრები ტარდება საერთო პოლიტიკურ საკითხებზე, ინტერნაციონალურ აღზრდაზე, პიონერშეკრებაზე და ბანაკის ცხოვრებაზე. საუბრები რუსულად ტარდება, რასაც სიყვარულით ისმენენ ქართველი, სომეხი, რუსი, თურქი, ებრაელი და ბერძენი მუშების შვილები.

საქეიმო დახმარება. ბანაკს ჰყავს თავისი ექიმი, ყოველ კოლექტივს კი — სანიტარული რაზმი. ბანაკს თავისი აფთიაქი აქვს, ამბულატორია და ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სასადილო ცალკეა, ცალკეა საბანაკო საბჭოს კარავიც; საბანაკო საბჭოს თავმჯდომარეა ამხ. ან. კაპანაძე. ყოველ კარავშია ლენინის სურათი; ჩატარებს თამაში „თეთრები და წითლები“. ყოველდღე ბანაობენ და იღებენ მზის აბაზანებს.

სუსტ მოწაფეებს ბანაკად ჩამოსული მასწავლებლები (მანდინიანი და სტეფანიშვილი) და უფროსი ჯგუფის მოწაფეები ამაცადინებენ.

კარგი კავშირი არსებობს გვერდით მყოფ სომხეთის ბანაკთან: ეწყობა ხოლმე საერთო სიმღერა, საერთო თამაში და კოცონთან საერთო საუბრები. კავშირი აქვთ აგრეთვე სომხეთის წითელი არმიის ნაწილებთან, რომელნიც კარაკლისის მიდამოებში არიან ბანაკად.

მეორე წელიწადია, რაც ეს ბანაკი არსებობს. ამ სეზონში ბანაკობას ორი წყება გადის (თითო წყება თითო თვით), მეორე წყება სამ აგვისტოს მოვა ბანაკად, რიცხვით უფრო მეტი. პირველი წყება დაჯდა 11000 მანეთი; ეს თანხა გაიღეს პიონერების მშობლებმა, ტფილისის მუშებმა (შაბათობა) და კომკავშირის ტფილისის კომიტეტმა. მეორე წყება დაჯდება 14000 მანეთი, მთელი ბანაკობა კი სულ — 25000 მანეთი; აქვე შედის შტატი, კვება, ტრანსპორტი და მოწყობილობა.

ყოველდღე გაისმის ბანაკში დილით და საღამოთი საყვირის ხმა და „იყავ მზად“, „მზად ვარ“; „ბუღ გატოვ“, „გესეგდა გატოვ“; „ელირ პატრასტ“, „მიშ პატრასტ“, და თურთულად „ჰაზირ ოლ“, „ჰამშა ჰაზირ“... ეს ბავშვებია ტფილისის პროლეტარიატის, რომელნიც იზრდებიან და მწიფდებიან, რომ დაეხმარონ თავის მაგარკუნთებიან მამებს სოც იალიზმის აღმშენებლობაში და რომელნიც თავის მამებთან ერთად მზად არიან მტრებს მაგარი მკერდებით შეხვდენ.

ღამით ბანაკს ერთი მორიგე დარაჯობს და მორიგის ორი თანაშემწე — მოზრდილი პიონერები.

III. შორაპნის მაზრის ბანაკი.

ეს პიონერები დაბანაკებული არიან სოფელ ზვარეში, მოლითის თემში. სოფელი ზვარე თავისი ლამაზი მიდამოებით და მშვენიერი ტყეებით რევოლუციამდე ვინმე მემამულეს — ალექსანდრე წერეთელს — ეკუთვნოდა, რომელიც საშინლად სტანჯავდა გლეხებს.

იმ ადგილას, სადაც მშობლიური ოქტომბრის რევოლუციამდე კაკლის და მუხის უზარმაზარი ხეების ჩრდილში ლოთური სიმღერები ისმოდა და შევერცხლილი ხანჯლების წკრიალი, დღეს პიონერების მხიარული კიჟინა ისმის, და სიხარულით გიციინის გული.

დღეს იქ შორაპნის მაზრის მუშებისა და ღარიბი გლეხების შვილები ისვენებენ და მუშაობენ.

ზვარეს ბანაკებშიც იგივე საქმიანობა წარმოებს, რაც სხვა პიონერულ ბანაკებში, ხოლო ერთის განსხვავებით: ზვარეს ბანაკი უფრო მეტად ეხმარება მშრომელ გლეხობას.

საკვები დამაკმაყოფილებელია და მუშაობა მისაბაძი. შორაპნის მაზრის ბანაკმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა; ბანაკის მეთაურია შორაპნის სამბიუროს თავმჯდომარე ამხ. გველესიანი.

IV. სომხეთის ბანაკები.

სომხეთის პიონერულმა ორგანიზაციებმა 2600 პიონერი გაგზავნეს ბანაკად. ერევნის პიონერები გაემგზავრენ დარალაგეზის ბანაკში, სადაც ზაფხულს 1150 ბავში გაატარებს; ლენინაკანის 950 პიონერი გაემგზავრა სოფელ კზილ კოჩში; კარაკლისის პიონერები — სოფელ გამზამჩემანში.

კარაკლისის პიონერების ბანაკი ჩვენც დავათვალიერეთ; ეს ბანაკი „26“-ის რაიონის ბანაკის გვერდითაა გაშლილი.

ბავშვები კარგად მუშაობენ და მხიარულად ატარებენ დროს. საკვების მოწოდების საქმე და საქეიმო მეთვალყურეობა კარგადაა დაყენებული; საწოლების რიცხვი გადიდებულია.

ამ ბანაკს და „26“-ის ბანაკს იშვიათი მეგობრული დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან, ერთმანეთს ძალზე დაუახლოვდენ და ყოველთვის ნახევარ დღეს თითქმის ერთად მუშაობენ და საუბრობენ.

ამ ბანაკში ალავერდის, ზანგეზურის და სხვა ადგილების მუშების შვილები არიან.

ბანაკად მყოფი.

ამხანაგებო! მოგვაწოდეთ წესრიგები, როგორ ჩაატარეთ აღვილებზე პიონერთა შეკრებები და ბანაკობა.

ქურნ. „პიონერის“ მორიგი ნომერი პიონერთა შეკრებას და ბანაკობას მიეძღვნება.

ჩედაჭკია.

ერთი უქსავატი ახალგაზრდის საქმიანობა.



გოგი ესწვიდობებოდა თავის დანიშნულს, სიღვრის ხელზე ჰკოცნიდა, სიმამრს ღიმილით ეალერსებოდა, იგრინებოდა, იპრანჭებოდა, თავის თავს მაღალი შთამომავლობის შვილად სთვლიდა, დაიჭიმა ხელთათმანი ხელზე, ჩაჯდა ეტლში და გაქროლა.

მიქროდა ეტლი, მიბმული პატარა ზარების ხმა გაისმოდა. სად მიდიოდა ფუქსავატი და გატაცებული გოგი, თვითონაც არ იცოდა, და ამგვარად გაიარა დიდი მანძილი. სად მიაქროლებს მას ეტლი, სად შეჩერდება, ვის მოხიბლავს კიდევ თავისი მოქცევით, ვის გააბედნიერებს დაპირებებით, დედაქალაქის ცხოვრების მოთხრობით, კიდევ რამდენი სულელი ჩასთვლის ბედნიერად თავის თავს, შეენატრება მას, პატივს სცემს და ფულსაც ასესხებს,— ამის შესახებ არაფერი ვიცით.

არაფერი ვიცით გოგი ივანეს ძის შესახებ მას შემდეგ, რაც ის ნათესავეებს გამოემშვიდობა და ქალაქიდან სამი დღის გზა გაიარა. გოგი ხან აქ გაჩნდება მდიდრული ტანსაცმელით, გაგაგონებს თავის ხმას, „გაიმასქნებს“ რაიმე საქმეს და მოტყუებულს დასტოვებს პატიოსან ხალხს.

მისი წარსული ცხოვრების უმიზნო ხეტიალის შესახებ დარჩენილია მოგონებანი, რომ ის ნახეს ქ. ბათომში 1900 წელს, რომ ის მეორედ შეხვდა მეზღვაურს, რომელმაც წააგებინა ყველაფერი, 1910 წელს ნახეს ტფილისში. ოცი წლის წინად ნახეს ორ ალაგას, მის შემდეგ ერთსადამიანე დროს გზიდან მას ხუთ, თხუთმეტ და ოცდახუთ ალაგას. დარბის და დაქრის. გოგი ივანეს ძის საქმიანობა გამრავლდა; ის ფიქრობს, ვითომ მის შესახებ სწერენ ათასგვარ ჟურნალ-გაზეთში. ის ხან იქ არის და ხან აქ, არ ისვენებს; აქ ის 20 წლისაა, გაახალგაზრდავებული, ზის ტრესტის უფასო ავტოში, იქ — 40 წლისაა, სათანადო დარბაისლობით და ტანსაცმელით და ხან კიდევ პიონერის გალსტუკით, თმაგადავარცხნილი და მთლიანად გაახალგაზრდავებული. მისი ცუდლუტი მოქმედებით, სადაც გამოჩნდება, განკარგულების თანახმად გარბიან შიკრიკები, დაქრიან ავტოები სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად. არ მოკვდება გოგი ივანეს ძე, თუმცა ძალზე მოღალღულია თავისი პირადი საქმიანობით; ის უფრო აღრმავებს ფიქრს, როგორ გააუმჯობესოს თავისი ცხოვრება, რომ სინამდვილედ ექცეს ის განკარგულებები, რომლებიც სიყალბეზეა დამყარებული. ის უფრო აღრმავებს ფიქრს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიხმაროს თავისი საქმისათვის პიონერის გალსტუკი. გოგი ივანეს ძე ამტკიცებს, რომ მას ეძახიან პეტრე პავლეს ძეს, გვარი მისი ზოლტაძე კი არის, არამედ კიტრაძეა. არ დაიჯეროთ მისი, ის ამასწინად ნახეს მოსკოვში გაქცევაძის გვარით, პიონერის გალსტუკით, თმაგადავარცხნილი და თავის თავს უწოდებდა ჟურნ. „პიონერის“ კორესპონდენტს, და ის ამ შემთხვევაში არ სტყუოდა, ვინაიდან ყველა პიონერს, ვინც სწერს თავის ჟურნალში, ყველას შეუძლია იყოს პავშკორი.

ერთ დღეს გოგი მივიდა აღმასკომში და ბრძანა: „მე ვარ ჟურნალ „პიონერის“ კორესპონდენტი, ჩვენ გვესტუმრენ საზღვარგარეთის პიონერები. საქიროა ავტო, უნდა ვაჩვენო ტფილისის შესანიშნავი ადგილება, ზაპსი და სხვა“. გოგის მისცეს ავტო. ის თავისი ფუქსავატი სამი ამხანაგით მთელი დღის განმავლობაში დაქროდა ხან აქეთ და ხან იქით. რას აკეთებდა — თვითონ არ იცოდა. მრავალი დაწესებულების ბიუროკრატები და ჩინონიკები მოატყუა მან და ბოლოს ერთ საქმეზე დაიჭირეს.

ერთ დღეს მოისურვა აელო რკინის გზის უფასო ბილეთი, მივიდა სამმართველოში, წარადგინა სათანადო საბუთები, მაგრამ იქ სიეზში არ აღმოჩნდა და დაიჭირეს.

ყველა სკოლასა და დაწესებულებაში არიან თავისებური ფუქსავატი ტიპები, რომლებსაც თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ, უმიზნოდ ატარებენ დროს, არავითარი ნაყოფი არ მოაქვთ საზოგადოებისათვის და თუ შეეკითხებით მათ, მათზეა დამოკიდებული მთელი საზოგადოებრივი საქმიანობა.

ასი წლის წინად რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლმა დაწერა კომედია „რევიზორი“, სადაც მოგვცა საზოგადოების ჩლუნგი წრის ტიპი, ძველი ჩინონიკი, უსაქმური, მკვებარა, ცრუბენტელა და მჩატე აზროვნების მქონე, რომელსაც ხლესტაკოვი დაარქვა. მისი არსებობა საზოგადოებისათვის ზედმეტი ბარგი იყო, რადგან მრავალი ასეთი მაშინდელი ჩინონიკი ფეხით სთელავდა საზოგადოებას, ზედმეტ ბარგად აწვა ისედაც გალატაკებულ, დამოქნებულ მუშაგლეხობას. მის შემდეგ ასმა წელმა განვლო, და ასეთი ტიპები ბევრი მოიპოვება დღესაც.

ვინ არიან ესენი? ესენი არიან კიდევ დარჩენილი საბჭოთა აპარატებში ძველი ჩინონიკები, ბიუროკრატები, რომლებიც მფარველობენ გაიძვერა, მატყუარა და უსაქმურ ხალხს. წითელი ხლესტაკოვები განდევნილ უნდა იქნენ საბჭოთა აპარატებიდან, ისინი უნდა გადავკეთ სახალხო სასამართლოებს, რომ კვლავ არ გამაგრდენ. საბჭოთა დაწესებულებაში მომუშავე პირებს ევალებათ თვალყურის ადევნონ ამ ვაქებატონებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაძევებულ იქნან საბჭოთა აპარატიდან წითელი ხლესტაკოვები. საბჭოთა ხელისუფლების მიერ სათანადო ყურადღებაა მიქცეული, მაგრამ აქ საქიროა პატიოსანი მშრომლების დახმარება ძველი ჩინონიკების და ბიუროკრატებს საქმიანობას გამომჟღავნებასა და ალაგმვაში.

რომ არ არსებობდენ ბიუროკრატები და ჩინონიკები, არ იქნებოდა მონური შიში უფროსების წინაშე, არამედ ურთიერთ შორის ამხანაგური დამოკიდებულება და ერთსულოვნება. გოგი ივანეს ძე ცოცხალი იქნება მანამ, სანამ მას შეერთებული ძალით არ გავაძევებთ საბჭოთა აპარატიდან.

ი. ოთიაშვილი (გაჩეჩილაძე).